საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  შაბათი 24 აგვისტო 2002 №159 (1681)  ფასი 50 თეთრი


# ვინ ჩაჯდება სავარძელში? ვინ ჩაჯდება ციხეში?

## დღეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია





გუშინდელმა აღმასკომის სხდომამ გართულებების გარეშე ჩაიარა. ეს სიმშვიდე ქარიშხლის მოლოდინში ჩამოვარდნილ სიჩუმეს ჰგავდა. მთავარი ამბები დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" დატრიალდება. საღამოს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტის ვინაობა გვეცოდინება. გუშინდელი აღმასკომი ფედერაციის ახალ ოფისში უხმაუროდ შეიკრიბა. პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილიც თამამად წარსდგა ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელების წინაშე. აღმასკომზე დიდხანს არ გაჩერებულა, თავისი სათქმელი მოკლედ უთქვამს. პეტრიაშვილი ჟურნალისტებს უკომენტაროდ გაგვეცალა. ნელ-ნელა აღმასკომის წევრებმაც სათითაოდ იწყეს ჰაერზე გამოსვლა. სულ მალე კი მერაბ ჟორდანიამაც საპრესკონფერენციოდ მიგვიწვია...

# დახურული აღმასკომი ჟორდანიამ გაახმოვანა

## პეტრიაშვილს პატარკაციშვილი არ დააპატიჟებინეს

— ეს ყრილობამდე ბოლო აღმასკომი იყო. სხდომას ჩვიდმეტიდან თხუთმეტი წევრი ესწრებოდა. წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, ქუთაისიდან არ გვეწვია გურამ ფილიპაშვილი, ვერც ვლადიმერ ხოხობაია დაგვესწრო.

დავით პეტრიაშვილმა აღმასკომის წევრებს ორი მოთხოვნა წაუყენა. ჯერ ყრილობაზე გამოუცხადებლობისკენ მოუწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითეული თქვენგანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრებაო. ვერ მივმხვდარვარ, რაში დასჭირდა დავითს მსგავსი განცხადების გაკეთება.

მისი მეორე წინადადება კი აღმასკომმა განიხილა. პეტრიაშვილი ყრილობაზე ბადრი პატარკაციშვილის მიწვევას სტუმრის სტატუსით ითხოვდა. პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ამას ჩემსა და ბატონი ბადრის ახლო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვამბობ, მაგრამ მე და ემზარ ზენაიშვილი აღნიშნული საკითხის განხილვისას უმცირესობაში აღმოვჩნდით. ამიტომ დავით პეტრიაშვილს აღმასკომის უმრავლესობის გადაწყვეტილებით უარი უთხრეს.

აღმასკომმა ჩემი საანგარიშო მოხსენება დაამტკიცა, მერე კი საარჩევნო მანდატების შესაძლო გაზრდაზე ვიკამათეთ. აფხაზეთისა და კახეთის რეგიონული ფედერაციის თავკაცები — მურად ანჯაფარიძე და გოჩა როსტომაშვილი აღნიშნული ფედერაციებისთვის თითო საარჩევნო ხმის დამატებას მოითხოვდნენ. მათი მოთხოვნა იმერეთის რეგიონული ფედერაციის მაგალითით იყო გამყარებული. იმერეთის რეგიონული ფედერაციის თავკაც გურამ ფილიპაშვილს საარჩევნო ხმა როგორც აღმასკომის წევრს ისე აქვს, ხოლო ფედერაციიდან გარი სორდია მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

მურად ანჯაფარიძე და გოჩა როსტომაშვილი აღმასკომის წევრები და ჩემი თანაგუნდელები არიან, აფხაზეთის და კახეთის ფედერაციებზე დამატებითი მანდატების გაცემა ჩემს წისქვილზე დაასხამდა წყალს, მაგრამ საარჩევნო ხმების გაზრდას თავად შევეწინააღმდეგე. მე არჩევნების ობიექტურად ჩატარებას ვემხრობი და ბოლო დღეს არაფრის გამოგონება არ არის საჭირო.

ასევე უარი ვუთხარით საარჩევნო ხმაზე ქალთა ფეხბურთის ფედერაციის თავკაც ვაჟა ჟვანიას. ვაღიარებ, თავის დროზე შევცდით და ჟვანია დავივიწყეთ. იმხანად, როცა ხმები განაწილდა, ვაჟა ციხეში იჯდა, მართალია, უდანაშაულო გახლდათ, მაგრამ ჩვენ კი გამოგვრჩა. ბოლოს იმას მოგახსენებთ, რომ უშუალოდ წილისყრის სისტემა ყრილობაზე დამტკიცდება. დელეგატები გადაწყვეტენ, არჩევნები ღია წესით ჩატარდეს, თუ ფარულით.

ფეხბურთის ფედერაციის ჯერაც მოქმედ პრეზიდენტს თბილისურ ტოტალიზატორებში კანდიდატებზე გამოქვეყნებულ ფსონებზეც ვკითხეთ და პასუხად საკუთარ წარმატებაში დარწმუნებული კაცის სიტყვები მივიღეთ:

— მე ჩემს ახლობლებსაც ვუთხარი და აქ მყოფ ჟურნალისტებსაც გირჩევთ, ფსონს მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობაზე ჩადით. კაცურ სიტყვას გეუბნებით, თუ წავაგე, ტოტალიზატორში დადებულ თანხას ერთი კვირის მანძილზე აგინაზღაურებთ, თუ გავიმარჯვე, არაფერს მოვითხოვ, მოგებული თქვენს ოჯახებს სიკეთეში მოხმარდეს. ვიმეორებ, ჩემი პირობა მხოლოდ ჩემს ახლობლებზე და აქ მყოფ ჟურნალისტებზე ვრცელდება.

ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას პრეზიდენტობის კანდიდატ ვაჟა ჩხაიძის ბრძოლიდან გასვლაზე დავეკითხეთ.

— ჩვენ ჩხაიძის ოფიციალური წერილი მივიღეთ, სადაც ის გვატყობინებს, რომ უკანონო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამასთანავე თავის მხარდამჭერებს ჰპირდება, რომ აუცილებლად იყრის კენჭს კანონიერ არჩევნებში. ვერ გეტყვით, მობრძანდება თუ არა ბატონი ვაჟა ყრილობაზე, მაგრამ მისთვის კარი ღია იქნება.

**ბამუკა ძვანტალიანი**

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატთა სია (გადამწყვეტი ხმის უფლებით)

| | | |
|---|---|---|
| 1. | რევაზ აიწურაძე | საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი |
| 2. | მურად ანჯაფარიძე | აფხაზეთის რეგიონული ფფ |
| 3. | რევაზ არველაძე | ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 4. | ვახტანგ ასათიანი | სფფ-ის სარევიზიო კომისია |
| 5. | კახა ასათიანი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 6. | ჯანსულ ბაგრატიონი | საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი |
| 7. | თემურ ბეჟანიძე | ს.კ. ბათუმის „დინამო" |
| 8. | ლაშა ბირკაია | ს.კ. „დინამო-2" თბილისი |
| 9. | ზაზა ბოკერია | სფფ-ს აღმასკომი |
| 10. | ბახვა გიორგაძე | ს.კ. ოზურგეთის „მერცხალი" |
| 11. | ომარ გოგიაშვილი | სფფ-ს აღმასკომი |
| 12. | თენგიზ გოგიტიძე | ს.კ. „ქობულეთი" |
| 13. | აქსენტი გოგოლაძე | ს.კ. ხაშურის „ივერია" |
| 14. | ვიტალი გრძელიშვილი | მცხეთა-თიანეთის რეგიონული ფფ |
| 15. | ვლადიმერ გუცაევი | ს.კ. „მცხეთა" |
| 16. | ნოდარ დალაქიშვილი | შიდა ქართლის რეგიონული ფფ |
| 17. | ნიკოლოზ დოლიძე | სფფ-ს აღმასკომი |
| 18. | გურამ დურგლიშვილი | საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია |
| 19. | ვლადიმერ ელოშვილი | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 20. | ემზარ ზენაიშვილი | სფფ-ს აღმასკომი |
| 21. | ენუქი თევზაძე | ს.კ. ხობის „კოლხეთი" |
| 22. | გელა ინალიშვილი | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფფ |
| 23. | მალხაზ კაკაურიძე | ს.კ. თბილისის თსუ |
| 24. | ნუგზარ კაკილაშვილი | ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი |
| 25. | ავთანდილ კოკაია | თბილისის რეგიონული ფფ |
| 26. | სერგო კოტრიკაძე | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი" |
| 27. | დემურ ლელაძე | სფფ-ს აღმასკომი |
| 28. | ალბერტ ლომაძე | ს.კ. ლანჩხუთის „გურია" |
| 29. | ანზორ მამალაძე | ს.კ. თბილისის „მერანი" |
| 30. | ნუგზარ მდივანი | ს.კ. ზესტაფონის „მეტალურგი" |
| 31. | ირაკლი მეძმარიაშვილი | საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი |
| 32. | ანატოლი მილჩენკო | სფფ-ს აღმასკომი |
| 33. | ლაშა მინდელი | ქვემო ქართლის რეგიონული ფფ |
| 34. | ილარიონ მჭედლიშვილი | საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი |
| 35. | ზაქარია ნასუაშვილი | ს.კ. „ცხინვალი" |
| 36. | გივი ნოდია | ს.კ. „დინამო" თბილისი |
| 37. | რევაზ რევაზიშვილი | საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი |
| 38. | გოჩა როსტომაშვილი | კახეთი რეგიონული ფფ |
| 39. | გურამ რუხაძე | ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია" |
| 40. | გარი სორდია | იმერეთის რეგიონული ფფ |
| 41. | ზაზა სოფრომაძე | ს.კ. წყალტუბოს „სამგურალი" |
| 42. | გურამ ფილიპაშვილი | სფფ-ს აღმასკომი |
| 43. | მარიამ ფირცხალაიშვილი | ს.კ. ნინოწმინდის „მილანი" |
| 44. | ბესიკ ქავთარაძე | ს.კ. რუსთავის „გორდა" |
| 45. | გურამ ქარქაშაძე | სფფ-ს აღმასკომი |
| 46. | თენგიზ ქოიავა | ს.კ. ფოთის „კოლხეთი" |
| 47. | მიხეილ ქორქია | ს.კ. ქუთაისის „ტორპედო" |
| 48. | ტარიელ ღვაბერიძე | ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი-3" |
| 49. | ბესიკ შეროზია | ს.კ. ზუგდიდის „ლაზიკა" |
| 50. | რომან შოთაძე | სფფ-ს აღმასკომი |
| 51. | გივი შულაროვი | სფფ-ს აღმასკომი |
| 52. | ალექსანდრე ჩივაძე | ხსფ-ს აღმასკომი |
| 53. | მალხაზ ჩიჩუა | აჭარის რეგიონული ფფ |
| 54. | ვალერი ჩოლარია | სფფ-ს აღმასკომი |
| 55. | დურმიშხან ჩხაიძე | გურიის რეგიონული ფფ |
| 56. | გელა ჩხეიძე | გურიის რეგიონული ფფ |
| 57. | ოთარ ჭითანავა | სფფ-ს აღმასკომი |
| 58. | ვლადიმერ ხოხობაია | სფფ-ს აღმასკომი |
| 59. | მურთაზ ხურცილავა | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |
| 60. | ზურაბ ჯაფარიძე | ს.კ. ბოლნისის „სიონი" |
| 61. | მიხეილ ჯოჯუა | საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი |

# ჩივაძე გაბრაზდა

## არაპროფესიონალებს ნაკრებს ჩამოაცილებს



გუშინ ნაალმასკომევს ჟურნალისტებისა და ეროვნული გუნდის თავკაც ალექსანდრე ჩივაძის გზები ფედერაციის ახალ ოფისში გადაიკვეთა. ვერ დავიჩემებთ, თურქეთში შერცხვენილი ნაკრების მწვრთნელი ჩვენთან შეხვედრას არ ელოდაო. თვალი შეგვავლო, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო. შიგადაშიგ კითხვის დასმას ძლივს ვახერხებდით. ბატონმა საშამ ხუთი წუთი ილაპარაკა და მერე ოთახში შემოსულ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შეგვატოვა...

— ფეხბურთის ფედერაციის არჩევანმა გაამართლა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე თურქებთან გაჯიბრებამ ბევრი რამ ნათლად წარმოაჩინა. ეს კარგი გაკვეთილი იყო. ტრაპიზონში თამაში აშკარად სჯობდა ესტონელებთან ბურთაობას.

მე კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელის განწყობამ და მოედანზე მოქმედებამ საბოლოოდ დამარწმუნა მათ არაპროფესიონალიზმში. ნამდვილი სპორტსმენი ასე არ იქცევა. ერთი თვით ადრე ნაკრების წევრებისთვის ცნობილი იყო, თურქეთს რომ ვეთამაშებოდით. ვალდებულები იყვნენ, შეკრებაზე სრულ მზადყოფნაში გამოცხადებულიყვნენ. მწვრთნელებს არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო, თამაშამდე გუნდი ხომ მხოლოდ ერთხელ ვავარჯიშეთ.

**— თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ ნაკრებში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი.**

— ცვლილებები იქნება. მე კიდევ ერთხელ დავაკვირდები ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. შევეხმიანებით თემურ ქეცბაიას და გავესაუბრებით. კავშირი გვაქვს ზურაბა ხიზანიშვილთან. ტრავმის შემდეგ მას არ უთამაშია, უნდა ვნახოთ, როგორ მზადყოფნაშია. იმედი მაქვს, მწყობრში ჩადგება ალექსანდრე რეხვიაშვილი. ალექსანდრე იაშვილს ფეხი ისევ აწუხებს. მოკლედ, რთული ვითარებაა, მაგრამ არა გამოუვალი.

**— ტრაპიზონში კახა კალაძეს არ უნდა ეთამაშა...**

— ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. კახა ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა. თურქებთან სათადარიგოებში კი იჯდა, მაგრამ მატჩის ოქმშიც არ შეგვიყვანია. როცა ნახა, ტრიბუნებზე რა ხდებოდა და თანაგუნდელებს მოედანზე უჭირდათ, თვითონ მთხოვა, სათამაშოდ გავალო. კახას არასდროს უთქვამს ნაკრების მაისურას ოფიციალურ მატჩებში არ მოვირგებო. კალაძე შვეიცარიის წინააღმდეგაც ითამაშებს.

**— მეტოქის ბოლო თამაშის ფირი თუ ნახეთ?**

— ამ დღეებში გამოგვიგზავნიან. თადარიგი ნაადრევად დავიჭირეთ და ფირი გვექნება. შვეიცარიას ძლიერი გუნდი ჰყავს და შინ თამაშობს, მაგრამ ჩვენც ყოველმხრივ მზად უნდა ვესტუმროთ მასპინძლებს.

**— ნაკრების საშვეიცარიო შემადგენლობას როდის გამოაცხადებთ?**

— გპირდებით, ორიოდ დღეში ეროვნულ გუნდში გამოძახებულთა ვინაობა გეცოდინებათ.

**ბამუკა ძვანტალიანი**

საქართველოს 14 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი ეტაპი

4 ტური

ანონსი

თბილისი. შევარდენი. 25 აგვისტო. 18 საათი

**ვიტ ჯორჯია — დინამო**

მსაჯები: მ. მაღალაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. სილაგავა (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. ლოკომოტივი. 25 აგვისტო. 19 საათი

**ლოკომოტივი — მილანი**

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 25 აგვისტო. 18 საათი

**სიონი — კოლხეთი**

მსაჯები: ი. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

დისკვალიფიცირებული: ქუტიძე (კოლხეთი)

რუსთავი. ფოლადი. 25 აგვისტო. 18 საათი

**გორდა — მეტალურგი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ნ. რუსიაშვილი (ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

ქუთაისი. ტორპედო. 25 აგვისტო. 19 საათი

**ტორპედო — დილა**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. სინათლე. 26 აგვისტო. 18 საათი

**მერანი — ბათუმი**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი




ბაჩანა ქართველაძე ტრაპიზონიდან

# ჩაის ქალაქი

## მაფიის ყვავილობა გურჯისტანში

## როდემდე? უკვირს ართვინელ ქართველს

**ეს პატარ-პატარა** ამბები დღეისთვის იმიტომ შემოვინახე, რომ ცალკე დასაწერად ნაღდად ღირდა.

ტრაპიზონი და მისი აღმოსავლეთით მდებარე რაიონ-სოფლები ძირითადად ლაზებითაა დასახლებული. ამას იქაურებიც ადასტურებენ, თუმცა ამბობენ, სოფლებში მცხოვრებნი უფრო საუბრობენ ლაზურად, გაქალაქელებულთ კი დაავიწყდათო.

ტრაპიზონი ქვაფენილების და ტაქსების ქალაქია. ცენტრალურ მოედანს დილიდან საღამომდე ჭყვიტინა ტაქსები უვლიან გარს. მათი მოძრაობისას ერთგვარი წრე იკვრება, რომელშიც, როგორც შესვლა, ისევე გამოსვლა, მრავალუცნობიანი განტოლებაა. ამ „წრესა შიგან" სკვერია, სკვერში დაახლოებით ორმოცდაათი მაგიდა დგას.

ტრაპიზონში პირველად ჩასულ კაცს, რომელიც ღამით მოხვდება ქალაქში, სკვერი ლუდის ბარს მოაგონებს. დილით, 9-10 საათისთვის რომ მიადგე, ასეთი სურათი დაგხვდება: ორასამდე კაცი ჩაის ჭიქებით ხელში. რა ლუდი, რომელი ლუდი, გახურებული ჩაის სმა მიდის.

ქვაფენილზეც უნდა ვთქვა, იქაური გზა ფეხების ტრენაჟორია. ათწუთიანი სიარულის შემდეგ იგრძნობ, როგორ იბერება კუნთები, ასფალტზე გადახვალ და გგონია მისრიალებ.

შარაშის გამზირზე „ზორლუ გრანდ ოტელია". იქ თურქეთის ნაკრები იყო დაბინავებული. ეს სასტუმრო „ვესტერნ იუნიონის" აქაური განყოფილების მფლობელის საკუთრებაა. თამაშის დღეს, დილით სასტუმროს ჰოლში შევიჭვრიტე, ეგებ თურქ ფეხბურთელს წავაწყდე-მეთქი. თეთრპერანგიანი, ჰალსტუხიანი ახალგაზრდა ბიჭი, ძვირფასი სასტუმროს ერთ-ერთ სტუმარს, ძვირფას ფეხსაცმელებს უპრიალებდა. გამპრიალებელი ისეთ ადგილზე იჯდა, ჯაგრისები და სხვა საპრიალებელი ხელსაწყოები რომ არ ჰქონოდა, გვირგვინი აკლდა, თორემ ხელმწიფე გეგონებოდათ.

ვესტიბიულში ალფაი ოზალანს გადავაწყდი. იგი მეგობრებთან საუბრით გართულიყო. ბოდიშის მოხდით, ზრდილობიანად ვთხოვე, ქართული სპორტული გაზეთიდან ვარ, ათიოდ წუთს ხომ არ დამითმო-მეთქი. ალფაიმ ზრდილობიანადვე მომიბოდიშა, პრესასთან ურთიერთობა აკრძალული გვაქვსო.

ნახევარ საათში შენოლ გიუნეში ჩამობრძანდა. აბა, იქ წავიდა ხვევნა-კოცნა-მტლაშამტლუში. თურქეთში ასეთი წესია: მისალმებისას თითოჯერ ორივე ლოყას უნდა მიეფერო, ვესტიბიულში კი 30-მდე სულიერი იჯდა. ახლა თქვენ დაითვალეთ რამდენი ლოყათშეხება მოხდებოდა.

ცოტა ხანში სასტუმროდან გამოვედი და მოპირდაპირე მხარეს მაღაზიაში წყურვილის მოსაკლავად შევედი. მაღაზიის პატრონს ჩემი ვინაობა გავუმხილე და საუბარი გავაბით.

მან მითხრა, რომ თავის დროზე, როცა შენოლ გიუნეში „ტრაბზონსფორს" წვრთნიდა, ასეთი რამ მოხდარა: გიუნეშის გოგოს ბიჭი ჰყვარებია, რომელსაც დაუნიშნავს კიდეც. ეს ბიჭი ფეხბურთელი ყოფილა, სიმამრს გუნდშიც აუყვანია, მაგრამ თავი ვერაფრით გამოუჩენია და სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. სიძეს იმის იმედად ყოფილა, რომ სიმამრი ნათესაობის გამო ათამაშებდა, მაგრამ სიძეობამ ვერ გაჭრა. ჩემმა თანამოსაუბრემ ბრძანა, ფეხბურთი და ნათესაობა პურს ერთად ვერ შეჭამსო. მე, რა თქმა უნდა, ჩვენი გასაცოდავებული ფეხბურთი (უფრო სწორად ფეხბურთისმაგვარი) გამახსენდა და ძმაბიჭობა-ნათესაობით „აწყობილი" ქვეყანა.

„ზორლუ გრანდ ოტელის" წინ, ტროტუარზე ხეიბარი ქალი ჩამომჯდარიყო. თურქეთის ნაკრების მაისურა ეცვა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. მისი ვინაობა ვიკითხე. მოყოლა არ დაზარებია, თან ჩაი (კიდევ ეს ჩაი) შემომთავაზა.

თურქეთის მაისურიანი ქალი „ტრაბზონსფორის" თავგადაკლული გულშემატკივარი ყოფილა და ნაკრების ფეხბურთელთა ნახვას ლამობდა.

მას თურმე „ტრაბზონსფორის" არცერთი მატჩი არ გაუცდენია, ყველგან დაჰყვებოდა გუნდს. ეს კი არა, ვარჯიში რაა, ისიც არ გამოუტოვებია. „ტრაბზონსფორი" რომ დამარცხდებოდა, თურმე ორი დღე (!) გლოვობდა და ცრემლად იღვრებოდა. იმ სასტუმროში მისი შემშვები კი არავინ იყო. ჰოდა, იჯდა დალონებული და ელოდა.

ბედად სასტუმროდან თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი მხლებლებითურთ გამოვიდა. ქალს მიუახლოვდა, მოიკითხა, შვეიცარს უხმო და უთხრა, ამ ქალს მიეხმარეთ, სასტუმროში შეიყვანეთ, ვინეს ნახვა თუ უნდა, ანახეთო. შვეიცარი პრეზიდენტის თხოვნას უსიტყვოდ დამორჩილდა, ხეიბარს წამოდგომაში მიეხმარა და შიგნით შეიყვანა. აი, რატომ უყვართ ჰალუკ ულუსოი თურქეთში.

ამ ამბის მერე, თითქოს რაღაც ეტაკაო, ჩემმა რესპოდენტმა კალაძის გვარი ახსენა. ვიცი, მისი ძმა გატაცებულია. თქვენთან, საქართველოში მაფიაა, მაგის დონის ფეხბურთელი გვყავდეს, ხელის გულზე ვატარებდითო, მაამ.

სხვათა შორის, ბევრმა ტრაპიზონელმა ჩამომიგდო სიტყვა ქართულ მაფიაზე.

ერთმა ტაქსის მძღოლმა ისიც კი მითხრა, როგორ ითმენთ ამდენს ქართველები, როდემდე უნდა იყოს პრეზიდენტი შევარდნაძე, გურჯისტანში მაფია ყვავისო. გაოცება რომ შემატყო, გაზეთები გადმომილაგა, მე ართვინელი ქართველი ვარ, მაინტერესებს და ვკითხულობო.

გუშინწინდელ „სარბიელში" გამცნეთ, რომ მატჩის წინ ჰიმნის შემსრულებელი ორკესტრის ერთ-ერთმა უნიფორმიანმა საქართველოს ნაკრების მაისურა მთხოვა.

ტრაპიზონის ცენტრში სეირნობისას ვიღაცამ მხარზე ხელი წამომარტყა, მივიხედე, უნიფორმიანი, ჩვეულებრივ გამოწყობილიყო, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ართვინელი ვარ, სახლში ქართულად ვსაუბრობთო. გულის კუნჭულში საქართველოს ვგულშემატკივრობდი, წავაგეთ (!), მაგრამ არ უშავს, საქართველოს ნაკრები ახლოდან რომ ვნახე, საქართველოს ჰიმნი ცოცხლად რომ შევასრულე, იმითაც კმაყოფილი ვარო.

**ვაჟა ხუციშვილი**

***ტრაპიზონი — თბილისი***




ბაჩანა ქართველაძე ტრაპიზონიდან



ჰალუკ ულუსოი კარგი პრეზიდენტი და გულმოწყალე კაცია

გია ახვლედიანის

### ბიბლიოთეკა

### სვეტი

# მრგვალი ბურთი

საქართველომ ისევ წააგო. ჯერაც არ წაუგიაო, იტყვით თქვენ. შარშან მთელი შემოდგომა იგებდა და ახლა ისევ ძველებურად აგებსო. შარშან რომ იგებდა, იმიტომ იგებდა, რომ ის მოგებები ხასიათზე მოყვანის მეტს არაფერს არგებდა და ის კარგი ხასიათი, ზამთრამდე თუ გაჰყვა ხალხს.

ახლა ნაკრები ისევ უსუსურია.

იმ დღესაც ვლაპარაკობდით და, ერთმა გულშემატკივარმა თქვა, ბურთი მრგვალია, ეგებ ამ სიმრგვალემ სამსახური გაგვიწიოს თურქებთანო. დიახაც, ბურთი მრგვალია და დემეტაც მოარტყა ძელს შოთას საუცხოო გადაცემის შემდეგ, მაგრამ ბურთის სიმრგვალე მაშინ მოქმედებს ფეხბურთში, როცა შედარებით სუსტი გუნდი თავს გადადებს, ან ღმერთის კრიშიდან გადმოუვარდება რაღაც.

ბურთის სიმრგვალე მაშინ მოქმედებს, როცა მოედანზე ორი გუნდია (როგორც მოგახსენეთ, ერთი შედარებით სუსტი), მაგრამ, როცა მოედანზე ერთი გუნდია და მეორე კი სადღაც გამქრალა, ბურთის სიმრგვალე თვლემს. და მხოლოდ მაშინ გამოახელს ხოლმე თვალს, როცა ის ერთი გუნდი უბრალო რამეებს გადაწყვეტს.

რა თქმა უნდა, თურქეთი ძალიან ძლიერი გუნდია და ამხანაგურ თამაშსაც რაღაც კლასით ატარებს. თვალში საცემიც ეს არის, რომ თურქებს, თავი დიდად არ მოუკლავთ, კლასით იმარჯვეს. საქართველოში კი კლასი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ზოზინი და რაღაც გაუგებარი სიამაყით გაჯერებული უძრაობა, ერთმანეთის ლოდინი და ცქერა. ეს განსაკუთრებით ნახევარმცველთა სენია.

ოთხშაბათს, ზედიზედ მეხუთე თამაში წააგო ბერტი ფოგტსის შოტლანდიის ნაკრებმა. ფოგტსმა თავის ნახევარმცველებს სწორედ ზოზინი დაუწუნა და სქოთთა მენტალიტეტის თავისებურებებზე ალაპარაკდა.

ჩვენთან კი ოღონდ მენტალიტეტზე ნუ ილაპარაკებ და მიდი და წააგე. ბიჭები მაინც კარგი ბიჭები არიან, თურქები, რაც არ უნდა იყოს, მსოფლიოში მესამენი გახლავან, შვეიცარიას კი გასვლაზე უნდა მოვუგოთ. ეს ლაპარაკი სწორედ იმ წუთამდე გაგრძელდება, სანამ შვეიცარიას ვერ მოვუგებთ. მერე შვეიცარია რუსეთით შეიცვლება და ასე დაუსრულებლად, ვიდრე არ გამოჩნდება ფარერის კუნძულები, ან ვინმე ისეთი, ვისაც ჩვენი დამარცხება არაფერში სჭირდება.

ასე გამოდის ხოლმე: უნგრელებთან მაშინ წავაგეთ, როცა მოგება გვჭირდებოდა და მაშინ მოვუგეთ, როცა აღარაფერში გვჭირდებოდა. პრინციპული თამაში უნგრეთთან ზუსტად ისე ვითამაშეთ, როგორც ახლა, ამხანაგური თურქეთთან.

ერთხელ ხორვატიაში ასეთი რამ მოხდა: ხალხმა და ჟურნალისტებმა თავიანთი ეროვნული ნაკრები შეადგინეს და იმდენი ქნეს, რომ მიროსლავ ბლაჟევიჩის ნაკრებს შეახვედრეს. თამაში ხალხის გუნდმა მოიგო. იმის შემდეგ ხორვატიის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩვენ ასეთი რამ არ გამოგვივა და მგონი, არც გვჭირდება მენტალიტეტ დრუგოი.

ახლა კი შევძახებდით ძველებურად, ასე ვქნათ და ისე ვქნათო, მაგრამ ისედაც იციან და რაღა უნდა შევძახოთ? შეძახებულიც არის და გადაძახებულიც. ასე უნდათ ცხოვრება და რას იზამ. უბრალოდ, გულშემატკივარს რომ რევენ ამ თავიანთ საქმეში, სამწუხაროა. ერთადერთი, სულ ერთი ციცქნა სიხარულის იმედი იყო ამ ქვეყანაში — ფეხბურთი.

წაიღეს და წაიღნენ.

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 3:0 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია |
| | | | | პენალტებით | 2:4 | |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 59 |
| გოჩა ჯამარაული | 53 |
| თემურ ქეცბაია | 49 |
| გიორგი ქინქლაძე | 47 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 44 |
| შოთა არველაძე | 43 |
| ლევან კობიაშვილი | 39 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| კახა კალაძე | 32 |
| მურთაზ შელია | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| დავით გვარამაძე | 25 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| ლევან ცქიტიშვილი | 22 |
| გიორგი დემეტრაძე | 21 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| გელა შეყილაძე | 21 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 18 |
| გიორგი გახოკიძე | 15 |
| აკაკი დევაძე | 15 |
| გივი დიდავა | 15 |
| რატი ალექსიძე | 14 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | 13 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | 13 |

## გოლები

| | |
|---|---|
| თემურ ქეცბაია | 16 |
| შოთა არველაძე | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | 6 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | 4 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 5 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | უგუნდო | 14 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო | 3 | – |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | კიოლნი (გერმანია) | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 43 | 15 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ტორპედო | 2 | – |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | უგუნდო | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | ალანია (რუსეთი) | 8 | 2 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | კოლხეთი | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | აინტრახტი (ვირგესი, გერმანია) | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | დინამო | 6 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | სიონი | 1 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 15 | 2 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | დინამო | 25 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | ლოკომოტივი | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | დინამო | 1 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | სკა (როსტოვი, რუსეთი) | 8 | 2 |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | კოლხეთი | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | ტორპედო | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | მერანი | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | დილა | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი) | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | დინამო | 2 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | უგუნდო | 15 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | ალანია (რუსეთი) | 21 | 4 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ტორპედო | 15 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | დინამო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ტორპედო | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 13 | 6 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ტორპედო | 3 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 32 | – |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | ნ | 11/05/79 | ლოკომოტივი | 2 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ტორპედო | 1 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | გორდა | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10/07/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 39 | 2 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ლოკომოტივი | 4 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სკონტო (ლატვია) | 10 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ალექსანდროპულოსი (საბერძნეთი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | უგუნდო | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 1 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დანდი (შოტლანდია) | 59 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | ვიტ ჯორჯია | 1 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | სკონტო (ლატვია) | 14 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 8 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ. | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | სიონი | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | რუბინი (რუსეთი) | 21 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | კრისტალი (რუსეთი) | 10 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | ბათუმი | 11 | – |
| თემურ | ტულუში | თ | 24/02/72 | ბათუმი | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | უგუნდო | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | ტორპედო | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | ტორპედო | 12 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 49 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 47 | 8 |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ლუცერნი (შვეიცარია) | 44 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 5 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | უგუნდო | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | ლიერსი (ბელგია) | 21 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | რუბინი (რუსეთი) | 3 | – |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | სიონი | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | დებრეცენი (უნგრეთი) | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 22 | 1 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | უგუნდო | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | დილა | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | ნეა სალამინა (კვიპროსი) | 9 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | უგუნდო | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ტორპედო | 2 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით | ჭიჭველიშვილი | ნ | 23/01/75 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ტორპედო | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | დანდი (შოტლანდია) | 18 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | დინამო | 2 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | ბათუმი | 2 | – |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 53 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | ტორპედო | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | ლოკომოტივი | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | უგუნდო | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | კრისტალი (რუსეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ამიცა (ვრონკი, პოლონეთი) | 1 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | უგუნდო | 2 | – |

სულ: 115 მოთამაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

*7 წლის წინ საფეხბურთო ევროპა ბელგიელი დისიდენტის ჟან-მარკ ბოსმანის მიერ დადებულ ნაღმზე აფეთქდა. თუ კი შუაგულმა ევროპამ უკვე მოძველებული იარა როგორღაც მოიშუშა, განაპირა ფრონტამდე, როგორიც მაგალითად პოსტსაბჭოეთია, ამ ნაღმის ანასხლეტები ახლაღა აღწევენ.*

*„სარბიელის" მკითხველს არ უნდა დავიწყნოდა თბილისის „ლოკომოტივიდან" შარშანწინ თავდახსნილი ზურაბ ხიზანიშვილის საქმე. თუ ასეა, აგერ, ახლახან, თბილისის „დინამოს" მიერ ზაზა ზირაქიშვილის დისკვალიფიკაციაც უნდა გახსოვდეთ. მაგრამ ეს გუშინწინ, გუშინ იყო. და აი, ერთიც, სრულიად ცინცხალი: ლატვიაში გამომავალი რუსული გაზეთი „ტელეგრაფი" გუშინ მოსკოვის „სპარტაკისა" და მისი ვარსკვლავბიჭუნას, დმიტრი სიჩევის გაყრას გამოეხმაურა.*

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, იოლი შესაძლებელია, სიჩევს ფეხბურთის თამაში ერთი წლით აუკრძალონ და რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ქართველთა მეტოქეობაც უკან მოატოვებინონ.*

*სტატიის ავტორი ქართული წარმოშობის ლატვიელი ჟურნალისტი და uefa.com-ის თანარედაქტორი, ხოლო თანაავტორები რუსეთსა და უკრაინაში ამავე ვებგვერდის კორესპონდენტები არიან.*

# შენელებული მოქმედების ბოსმანი

## „სპარტაკიდან" სიჩევის წასვლამ, შესაძლოა, რუსულ ფეხბურთში ქაოსი წარმოშვას

პაველ გოგნიძე
ედუარდ ნისენბოიმი
იგორ ლინიკი

„სპარტაკის" მწვრთნელი ოლეგ რომანცევი, პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო და თეთრ-წითელთა მილიონობით გულშემატკივარი სწორედ რომ შოკში არიან. გუშინ რუსეთის მოწმენდილ ცაზე იქუხა ცნობამ იმის თაობაზე, რომ „ოქროსბიჭუნამ", რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა დმიტრი სიჩევმა მოსკოვურ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა.

ფეხბურთის ქომაგთა და სპეციალისტთათვის სავსებით მოულოდნელი სიახლეა. რას ნიშნავს — კონტრაქტი გაწყვიტა? რატომ მიდის 18 წლის ჭაბუკი „სპარტაკიდან", რომელსაც 8 თვეში მოხვეჭილ სახელს უნდა უმადლოდეს? მიდის და თანაც იმ მოლაპარაკებათა შემდეგ, რომლებმაც მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი საავადმყოფომდე მიიყვანეს (გუშინ მას ოპერაცია გაუკეთეს).

### მიზეზები

თავდაპირველად მიზეზებზე და კრიტიკის იმ ტალღაზე ვთქვათ, რომელიც სიჩევს დაატყდა თავს. აქაოდა, უმადურმა მოზარდმა გადაწყვიტა საკუთარი კლუბისა და ოლეგ რომანცევის, იმ ადამიანის გადაგდება, ვინც ის ვარსკვლავად აქცია.

დეკემბერში გამართულ გრანატკინის ხსოვნის ტურნირზე მშვენიერი თამაშის შემდეგ სიჩევი ტამბოვურიდან მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა და იანვარშივე თანამეგობრობის თასის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. საგანგებოდ აღსანიშნია, რომ მაშინ დმიტრის ჯერაც არ მოეწერა კონტრაქტზე ხელი და თეთრ-წითლებს დიდი გარჯა დასჭირდათ დონეცკის „შახტარის" ემისართა მოსაგერიებლად, რომლებმაც ლამის ცხვირწინ აართვეს ნიჭიერი ჭაბუკი.

ცხადია, მაშინ არავის უვარაუდია, რომ ჭაბუკი ისე ათამაშდებოდა, როგორც ეს ორ თვეში, ოფიციალურ მატჩებში შეძლო — მწვავედ, ლაღად და შედეგიანად. რუსეთის ჩემპიონატში გატანილი 9 გოლი სერიოზული განაცხადი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების შემადგენლობაში მის მიერ ერთ გატანილ და სამ შექმნილ გოლზე.

მიუხედავად ამისა, სიჩოვის კონტრაქტი არ გახლდათ სუპერვარსკვლავის კონტრაქტი. პირიქით, ის გათვალისწინებული იყო ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშისთვის, რომელიც ახლახან შედგომია დიდი სპორტის გზას.

### საბაბი

და, აი, პირველი ხელჩასაჭიდიც: იანვარში ხელმოწერილი კონტრაქტი ოდნავადაც არ შეესაბამებოდა სიჩევის სათამაშო დონეს. ფეხბურთელის აგენტებმა, რომელთა შორის მამამისიცაა, კლუბისგან კონტრაქტის გადახედვა მოითხოვეს.

ზოგიერთი წყარო 175 000 დოლარს მოიხსენიებს, რომელსაც „სპარტაკი" თავდამსხმელის აგენტებს მისი ტრანსფერისთვის დაჰპირდა. თუმცა ეს ინფორმაცია, სიჩევის საკონტრაქტო სიტუაციისგან განსხვავებით, დაუდასტურებელია.

„ჩვენ თავიდანვე გვსურდა გვეპოვნა კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც ყველა მხარეს მოაწყობდა — მწვრთნელსაც, მოთამაშესაც და კლუბსაც. დასაწყისიდანვე მოლაპარაკება მხოლოდ ერთი მიმართულებით მიგვყავდა, სიჩევი „სპარტაკში" მისთვის მისაღები ფინანსური პირობებით დარჩენილიყო" — გვითხრა მოთამაშის აგენტმა ალექსეი სოკოლოვმა. გვითხრა და შესაძლოა, კიდეც იეშმაკა.



რუს ვარსკვლავ დმიტრი სიჩევს ნაკრების მაისურიც გვერდზე რჩება

ვინაიდან მოლაპარაკებები შეწყვეტილია და მათი განხლება ნაკლებმოსალოდნელია. რომანცევი ჰოსპიტალშია, სიჩევი კლუბის ბაზის მიღმა, „სპარტაკი" კი იმ დოკუმენტების მზადებაში, რომლის საფუძველზეც პრემიერლიგას ფეხბურთელის დისკვალიფიკაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს.

### ტექნოლოგია

მაშ ასე, რა მოუვიდა სიჩევის კონტრაქტს? როგორ შეიძლება ფეხბურთელმა საკუთარი სურვილისამებრ დატოვოს კლუბი, რომელთანაც მოქმედი კონტრაქტი 2006 წლამდე აკავშირებს? „სიჩევმა „სპარტაკიდან" წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა და არ აპირებს საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლას" — გვაუწყა ოთხშაბათს კლუბის პრეს-მდივანმა ალექსეი ზინინმა.

ნამდვილად საინტერესოა. რუსეთის ჩემპიონთა ყველაზე ცხელ-ცხელი და პოტენციურად ყველაზე ძვირფასი საკუთრება განცხადებას წერს და მიდის. მიდის, როგორც ჩვეულებრივი მუშაკი. სწორედ ამ განცხადებაშია დამალული გრანდიოზული და დაუჯერებლად ფეთქებადსაშიში პრობლემა.

აი, რას ამბობენ სპეციალისტები: „რუსეთის შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით არსებობს მდგომარეობა, რომლის თანახმადაც მომუშავეს აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ ნაადრევად გაწყვიტოს ხელშეკრულება და არავის შეუძლია დააკავოს ის. ამ თვალსაზრისით სიჩევს, სხვა ნებისმიერი ფეხბურთელის მსგავსად, უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაშორდეს კლუბს. არადა, რუსეთის თუ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანათა რეგლამენტი მოთამაშესა და კლუბს შორის ხელშეკრულებათა გაწყვეტის სავსებით განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს. ურთიერთწინააღმდეგობა სახეზეა. თუ სიჩევის აგენტებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს, ჩვენ მივიღებთ რუსულ „ბოსმანის საქმეს" — მოგვახსენა სპორტულ-იურიდიული ფირმის, „სპორტ ლექსის" ადვოკატმა ევგენი სმოლენცევმა.

რას ნიშნავს ეს მარტივ, ადამიანურ ენაზე? არც მეტი, არც ნაკლები, ქაოსს, რომლის დროსაც მოთამაშეს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს. მას ხომ კლუბის დასაშანტაჟებლად ასეთი მშვენიერი ინსტრუმენტი აქვს ხელთ. სწორედ ამიტომ, „სპარტაკმა", რომელმაც პრობლემის საფრთხე ბოლომდე გაიაზრა, დაივიწყა საკუთარი თავი: „პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ მხარი დაგვიჭირა, რადგან ცხადად ესმით, სანამდე შეუძლია მიგვიყვანოს მოთამაშისგან კლუბის უსაფუძვლოდ დატოვების და თავისუფალ აგენტად გახდომის პრეცედენტმა" — განაცხადა „სპარტაკის" პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ.

### სასჯელი

სიჩევის დისკვალიფიკაცია დიახაც მოსალოდნელია, თუ რომელიმე ჯადოსნური ჯოხის დარტყმით მხარეები ისევ არ იქცნენ მეგობრებად (ასეთი რამ კი რუსეთში სავსებით შესაძლებელია). „სამშაბათს ლიგის პრეზიდენტის საბჭომ შექმნილ სიტუაციაზე იმსჯელა. ამასთანავე, არამარტო სიჩევ—„სპარტაკის" კონფლიქტი, არამედ, დანარჩენი კლუბების სიცოცხლისუნარიანობაზე ამ ინციდენტის გავლენის შესაძლებლობაც განიხილებოდა. ჯერჯერობით უმჯობესია განსჯის თანმიმდევრობა და მიღებული გადაწყვეტილება ლიგის საშინაო საქმედ დარჩეს" — განაცხადა ჩვენთან ინტერვიუში რუსეთის პრემიერლიგის პასუხისმგებელმა მდივანმა ბორის ბობროვმა.



● 1995 წელს ბელგიელმა ფეხბურთელმა ჟან-მარკ ბოსმანმა, რომელიც მეორე დივიზიონში თამაშობდა, საკუთარ გუნდთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ შესამეხარისხოვან ფრანგულ კლუბში გადასვლა მოინდომა. ყოფილმა კლუბმა, წესისამებრ მყიდველისგან კომპენსაცია მოითხოვა. ბოსმანის მიერ გასაჩივრებულ ამ საქმეს მოჰყვა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ მოთამაშის დაყოვნება ევროკავშირის მოქალაქეთა თავისუფალი დასაქმების თაობაზე მაასტრიხტის შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა. ამასთანავე ევროსასამართლომ უეფას მიერ დაწესებული ლეგიონერთა ლიმიტი ადამიანის უფლებათა დარღვევად მიიჩნია და აკრძალა, რის შემდეგაც ევროპული საფეხბურთო ბაზარი ცხოვრებას ახალი კანონით შეუდგა.

უცნაურად ჟღერს, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით ეს აი, რას ნიშნავს: სიჩევს სხვებისთვის სამაგალითოდ დასჯიან. ანუ დისკვალიფიკაციისა თუ შესაძლო სასამართლო განხილვათა გათვალისწინებით ახალგაზრდა ვარსკვლავი შესაძლოა რუსეთმაც დაკარგოს. „სპარტაკმა" ხომ ის უკვე დაკარგა.

„ამაზე ლაპარაკი არ მსურს, მაგრამ უახლოეს ხანში სიტუაცია უნდა გაირკვეს. ახლა კი მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, „სპარტაკში" არ ვითამაშებ" — თქვა მომხდარით აშკარად დათრგუნულმა, სიტყვაძვირმა ყმაწვილმა. მანამდე კი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი უკვე უარესისთვის შეემზადა: „თუ კლუბი სიჩოვის ერთწლიან დისკვალიფიკაციას საჭიროდ თვლის, ესე იგი, ასეც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებისთვის უმისობა დიდი დანაკლისი იქნება".

ამ სამწუხარო ისტორიას კიდევ ბევრი ისეთი ასპექტი გააჩნია, რომლის თაობაზეც ჩვენ არაფერი გვითქვამს. მაგრამ უნდა ითქვას მთავარი — სიჩევი „სპარტაკში" აღარაა, ბაზიდან ბარგი წაღებულია, ყოველგვარი მოლაპარაკებანი დამთავრებულია. წინ მხოლოდ სადისციპლინო განხილვები და პოტენციური რევოლუციაა. ან „რუსეთის შრომის კანონთა კოდექსი" შეიცვლება (რაც ნაკლებსავარაუდოა), ან რუსეთის საფეხბურთო ბაზარზე ქაოსი გამეფდება (რაც ნაკლებსასურველია), ანაც რუსული ფეხბურთის ფუნქციონერები თავად ფეხბურთის შველას სასწაულებრივად შეძლებენ.

### მომავალი

კი მაგრამ, სიჩევი? სიჩევს კი აი, რა ელის. რუსის გადაბირებას აქტიურად ცდილობს ორთავე უკრაინული გიგანტი. „შახტარი" დაინტერესებულია ბევრი ფეხბურთელით, მათ შორის, სიჩევითაც" — განაცხადა დონეცკური კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა. მისმა კიეველმა კოლეგებმა კი სახალხო მითქმა-მოთქმის მიუხედავად მოლაპარაკებათა ფაქტი უარყვეს. ჩუმადაა აგენტიც, რომელმაც ინტერვიუში ასეთი ფრაზა გამოურია: „უფლის გზანი უსაზღვროა. მაგრამ მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ „შახტართან" და „დინამოსთან" მოლაპარაკებანი არ გვქონია". ყოველივე ზემოთქმული საფეხბურთო დიპლომატიის ენაზე მხოლოდ ერთს ნიშნავს: უკრაინული ვარიანტი არსებობს და, როგორც ჩანს, უკრაინული გიგანტები ერთხელაც შეეჯახნენ ერთმანეთს, ამჯერად რუსი „ოქროსბიჭუნასთვის" ბრძოლაში.

***P.S.*** *ორშაბათს საავადმყოფოში მიყვანილ „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელს, ოლეგ რომანცევს დღეს თირკმლიდან კენჭი ამოუღეს. ოპერაცია რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს ერთ-ერთ ცენტრში წარმატებით ჩატარდა. ამჟამად რომანცევი რეანიმაციაში და ექიმები სრულ რეაბილიტაციას 5-6 დღეში ვარაუდობენ, რაც ნიშნავს, რომ ის ვერ შეძლებს დაესწროს „სპარტაკის" უახლოეს, კვირას ელისტაში „ურალანთან" გასამართ მატჩს. როგორც ოთხშაბათს „სპარტაკის" ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, მწვრთნელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სიჩევთან და მის აგენტებთან მოლაპარაკებამ გამოიწვია.*

**გადმოაქართულა მახტანგ ოზიაძემ**
**uefa.com-ის კორესპონდენტი საქართველოში**




# ჯიმი, ჯიმი, ბარსელონა!

**ჰოლანდიელი** ფორვარდი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, შესაძლოა, ინგლისური პრემიერლიგიდან ესპანურ პრიმერადივიზიონში გადაბარგდეს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც „ბარსელონამ" ლისაბონის „სპორტინგიდან" მარიო ჟარდელის გადაყვანა ვერ მოახერხა, ახლა „ჩელსის" თავდამსხმელს დაადგა თვალი.

თავად ჰასელბაინკმა ერთ-ერთ კატალონიურ გაზეთს განუცხადა: „ბარსელონაში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საამაყოა, არც მე ვარ გამონაკლისი, თუმც ერთიცაა, კატალონიელები ჯერ არც კლუბს და არც მე არ დაგვკავშირებიან."

- „ბარსელონას" ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი კი ამბობს: „ძალიან გვჭირდება ცენტრალური თავდამსხმელი, ამ საკითხზე ვმუშაობთ". კატალონიურ კლუბს 31 აგვისტომდე აქვს ვადა, სანამ ევროპაში სატრანსფერო სეზონი დაიხურება.

ჰოლანდიელი ფორვარდის აგენტი ჰემფრი ნაიმენიც რაიმე კონკრეტული კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს: „თუ „ბარსელონას" დონის კლუბი ჯიმით დაინტერესდება, რა თქმა უნდა, ჩვენ მის წინადადებებს მოვისმენთ, მაგრამ ოფიციალური შეთავაზება „ჩელსის" ჯერჯერობით არ მიუღია."

შეგახსენებთ, რომ ჰასელბაინკი „ჩელსიში" მადრიდის „ატლეტიკოდან" ორი წლის წინ, მაშინ ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხად, 22 მილიონ დოლარად გადავიდა. შარშანდელ სეზონში 30 წლის თავდამსხმელმა 29 გოლის გატანა მოახერხა.

პარალელურად ვრცელდება ცნობაც, რომ კატალონიური კლუბი ესპანეთის ნაკრების ორი ფორვარდის, ალბერტო ლუკეს და დიეგო ტრისტანის ტრანსფერზეც მუშაობს.

**ნიკა შუბლაძე**

## იტალია
### პირელის თასი
**ინტერი 2:1 რომა**

0:1 ბატისტუტა (37), 1:1 ადანი (56), 2:1 გამარა (89)

**ინტერი:** ფონტანა, ხ. ძანეტი, კორდობა (გამარა 54), ფ. კანავარო (ადანი 54), პასკუალე (ფრანკინი 54), გულიელმინპიეტრო (ვიეირა 60), ალმეიდა, დალმა (მარტინსი 68), ს. კონსეისაუ, მორფეო, კორადი

მწვრთნელი: ექტორ კუპერი

**რომა:** ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, სარტორი (გიგუ 79), ტომაზი, გვარდიოლა (ტომიჩი 46), ლიმა, კაფუ, ბატისტუტა (მონტელა 66), კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: კაფუ, პასკუალე

მაიკი: მელანა

7 193 მაყურებელი

# რონალდო, შე ნაბიჭვარო!
## ბრაზილიელის რეალში გადასვლამ ბალეარის წყალი დალია

ფოტოზე ხედავთ ბალეარის კუნძულებთან ზღვაში მოლივლივე მდიდრულ იახტას და შიგ მონებივრე ორ მილიონერს. ეს მილიონერები „რეალის" პრეზიდენტი, იახტის პატრონი ფლორენტინო პერესი და „ინტერის" პრეზიდენტი, სტუმარი მასიმო მორატი გახლავან. თემა გასაგებია — რონალდოს მილანიდან მადრიდში გადასვლა. რას შეექცეოდნენ ბიზნესმენები, უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია რით დასრულდა ყველაფერი: მხარეები ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკებების გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალეს. „რეალის" საინტერნეტო ვებ-გვერდში გაჩნდა განცხადება: „გვსურს ნათელი მოვფინოთ საკითხს და ხაზი გავუსვათ, რომ რონალდოს ტრანსფერის თაობაზე მხარეებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობები წარმოიშვა, რის გამოც მოლაპარაკებები შეწყდა."


SUPERCOPA MARCA ¡RESÉRVALA YA!

¡IN FRAGANTI!

Las fotos y los detalles de la cumbre secreta de Pérez y Moratti

MARCA

PITINA II

VALDANO Y MORETTI CERRARÁN EL FICHAJE

RONALDO HOY ES EL DIA

**ახლა კი პასუხი** გავცეთ ბუნებრივ შეკითხვას: რას სთავაზობდა „რეალი" „ინტერს" მსოფლიოს ჩემპიონის სანაცვლოდ? პასუხი ასეთია: „რეალი" „ინტერს" სთავაზობდა თანხას 12 მილიონ ევროსა და 20 მილიონ ევროს შორის, რასაც დაემატებოდნენ ფეხბურთელები. კერძოდ, მოლაპარაკებისას ტრიალებდა ფერნანდო მორიენტესის, პედრო მუნიტისის, არგენტინელი სანტიაგო სოლარის და ბრაზილიელი ფლავიო კონსეისაუს სახელები. ეს ვარიანტი მასიმო მორატისთვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა.

კეთილი, მაგრამ ასე ხომ გამოდის, რომ რონალდო „ინტერში" რჩება? გავიხსენოთ:

„სურს თუ არა, რონალდო „ინტერში" კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს" — თქვა მორატიმ ორიოდ დღის წინ.

„დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ „ინტერიდან" წასვლა მინდა" — ამბობდა იმავე დღეს რონალდო.

„რონალდო ბასტარდო!" — აყვირდნენ „ინტერის" ქომაგები, რაც რონალდო, შე ნაბიჭვაროს ნიშნავს და გახლავთ ლოზუნგი, რომელმაც შეცვალა წინა: „შენ არასდროს დანებდები". წინა ლოზუნგის მნიშვნელობა კი ყველასთვის ცნობილია. მაინც შეგახსენებთ — ორი წლის წინ, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს საშინლად ეტკინა ფეხი და, რომ არა „ინტერის" და ქომაგების თანადგომა, ვინ იცის, ორი წლის შემდეგ მოედანზე დასაბრუნებლად ძალა ვერც გამოეძებნა.

საერთოდ, მილანში, უფრო სწორად კი მის ინტერულ, შავ-ლურჯ ნაწილში, რონალდომ დიდი განრისხება გამოიწვია. ადრე, ბრაზილიელთან დაკავშირებული ატრიბუტიკა, მაისურა იქნებოდა თუ სხვა რამ პროდუქტი, „სანსიროს" მიმდებარე დახლებზე წამით არ ჩერდებოდა, უმალ იტაცებდნენ. ახლა კი: „რონალდოს სახელის გაგონებაც აღარავის უნდა. აქ ეს კაცი აღარ არსებობს" — თქვა ერთ-ერთი დახლის მეპატრონემ.

ინტერნეტით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ „ინტერის" გულშემატკივართა 70 პროცენტი მსოფლიოს ჩემპიონის დღესვე გაყიდვის მომხრეა, რაც, კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არც არის, რადგან იმ სამი სეზონის მანძილზე, რაც რონალდო ტრავმის გამო, ძირითადად გაეროს ელჩობით იყო დაკავებული, კლუბი ხელფასს (4,5 მილიონი ევრო) ზედმიწევნით პატიოსნად უხდიდა, ხოლო დღეს, როდესაც გამოჯანმრთელდა, ერთი ამბავი ატეხა, წასვლა მინდაო.

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. რონალდომ თქვა, რომ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად მას სერიოზული მიზეზები აქვს, ოღონდ ამაზე საჯარო ლაპარაკს არ აპირებს. თუ ეს, მოგვიტევეთ და, ბლეფი არ არის, მაშინ ანგარიშგასაწევია.

ამბობენ იმასაც, რომ რონალდოს გუნდის არგენტინელ მწვრთნელთან, ექტორ რაულ კუპერთან აქვს კონფლიქტი. კონფლიქტის მიზეზად ჯერ იმას ასახელებენ, რომ წინა სეზონის ბოლო ტურის შეხვედრაში „ლაციოსთან", რომელიც „ინტერმა" წააგო და ჩემპიონობა დაკარგა, კუპერმა თავდამსხმელი შეცვალა, რამაც ის გაანაწყენა, იმასაც ამბობენ, რომ კუპერი ფეხბურთელის გაწელილ არდადეგებს გაულიზიანებია — მერე რა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, დათქმულ დღეს „ინტერის" საწვრთნელ ცენტრში უნდა ყოფილიყოო.

აი, ასე! „რეალს" და „ინტერს" გარიგება არ გამოუვიდათ, ანუ რონალდო მილანში რჩება, მაგრამ არ უნდა და... ვეჭვობთ, ეს სერია რონალდოს ამბავში ბოლო იყოს.

**ბაბუნა ბიდია**



ექტორ რაულ კუპერი და რონალდო: ჩემთან დარჩები, ბიჭი...

# დიდი ვინმე კი არა, ფრანგი ვარ, საქმისადმი მიდგომით გერმანელი

*ვინ და რა კაცია ბიქსენტ ლიზარაზუ, სპორტული გაზეთის მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს.*

*საფრანგეთის ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის" მარცხენაფლანგელი ერთი თვის წინ ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში ისე დაშავდა, რომ ბუნდესლიგის პირველი ორი ტური გამოტოვა. თუმც უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და დღეს ეგებ ითამაშოს კიდეც ჰამბურგში.*

*ეს ინტერვიუ კი 32 წლის ლიზარაზუსთან „ბაიერნის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.*




**— რა შეუძლია მოიგოს „ბაიერნმა" ამ სეზონში?**

— ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელებით. მაგრამ მხოლოდ ტალანტი ფეხბურთში საკმარისი არ არის, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია გონებაზე. ასე რომ, ყველა თამაშზე კი არა, ყველა ვარჯიშზეც მაღალი კონცენტრაცია გვჭირდება, სრული მოტივაცია ნებისმიერ შეხვედრაში, რადგან „ბაიერნს" ყველა მეტოქე იგივეს შეეცდება. ჩვენ თავს არ უნდა მივცეთ იმაზე ფიქრის უფლება, რომ ყველაფერი ავტომატურად მოხდება. სეზონში კარგი სტარტი კი უმნიშვნელოვანესია, რათა სხვა გუნდებმა ჩვენდამი პატივისცემა გამოამჟღავნონ. გვინდა, რომ მეტოქეებს კვლავ ეშინოდეთ ჩვენი.

**— ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ბაიერნს" მარცხენა ფლანგზე თქვენს გარდა ახლა ზე რობერტოც ჰყავს. რას უნდა ველოდოთ თქვენგან და ზე რობერტოსგან?**

— ის ფანტასტიკური ფეხბურთელია და ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად შევეწყობით. მე მიყვარს სწრაფი და მოკლე პასებით თამაში — ამავე სტილში მოქმედებდნენ ზე რობერტო და დიეგო პლასენტე „ლევერკუზენში". ზე რობერტოსაც იგივე ფილოსოფია აქვს, რაც მე. მოედანზე საქმეს თავს კარგად გავართმევთ, მოუთმენლად ველი მასთან ერთად თამაშს.

**— მეექვსე სეზონია, „ბაიერნში" ხართ და თქვენ, ფრანგი კაცი, როგორ შეეგუეთ გერმანული ცხოვრების წესს?**

— მიუნხენში თავს ძალიან ბედნიერად და კომფორტულად ვგრძნობ. მე არასდროს გადავუხვევ ცხოვრების ფრანგული სტილიდან და ფრანგული კულტურიდან, მაგრამ საქმისადმი მიდგომის მხრივ, გერმანიაში მართლაც ვისწავლე რაღაც-რაღაცეები. აღმოვაჩინე რას ნიშნავს ყოველ მესამე თუ მეოთხე დღეს თამაში; გამოვცადე საკუთარი თავი გერმანიისა და ევროპის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ; ვისწავლე როგორ გავუძლო პერმანენტულ და დიდ ზეწოლას.

**— „ბაიერნთან" კონტრაქტი ამ სეზონის დამთავრების შემდეგ გეწურებათ. სურს კლუბს მისი გაგრძელება?**

— ამის შესახებ ჯერ არ გვისაუბრია, საამისოდ ბევრი დრო გვაქვს დარჩენილი. კლუბს ჯერ მე დაველაპარაკები და ალბათ ორივე მხარისთვის სასურველ შეთანხმებას მივაღწევთ.

**— წლეულს 33 წლის შესრულდებით. კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— ჯერ ესეც არ ვიცი. ამ მომენტისთვის გონებაში ის მიტრიალებს, რომ ნაკრებში ევრო 2004-ზეც ვითამაშო, თუმც არაფრის დეტალურად დაგეგმვა არ მიყვარს. ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, ფეხბურთში კი განსაკუთრებით.

**— საფრანგეთის ნაკრები რომ ადრევე გამოეშვიდობა მუნდიალს, ეს კვლავ გიმძიმებთ გონებას?**

— არა, რადგან მარტივად შეგვიძლია ავხსნათ, რატომ გამოვავლინეთ ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ 30-40 პროცენტი — ფორმაში ზუსტად იმ დროს უნდა იყო, როცა საჭიროა, ხოლო საფრანგეთი წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე უბრალოდ ფორმაში არ იყო — ხანდახან ფეხბურთში ასეც ხდება.

**— ბოლო დროს „ბაიერნსაც" სულ ფავორიტად მიიჩნევენ, ისევე როგორც საფრანგეთის ნაკრებს. ხომ არაა შესაძლებელი, რომ ამის გამო „ბაიერნსაც" ხელი მოეცაროს?**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[b] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# გერმანია

სოლომონ გულიაშვილი



ვოლფგანგ ვოლფი შტეფან ეფენბერგს დღეს პირველად ათამაშებს

# ტოპმიოლერი ყოფილ შვილებს დაემუქრა

| III ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | — | ჰანზა |
| მიუნხენ 1860 | — | ვერდერი |
| ჰამბურგი | — | ბაიერნი |
| არმინია | — | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | — | ლაუტერნი |
| ლევერკუზენი | — | ბოხუმი |
| დორტმუნდი | — | შტუტგარტი |
| **ხვალ** | | |
| ნიურნბერგი | — | ჰანოვერი |
| შალკე | — | ჰერტა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| ჰანზა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| მიუნხენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| არმინია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლაუტერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| ჰანოვერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ნიურნბერგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**„არმინია" — „ვოლფსბურგის"** შეხვედრა სულაც არ არის ამ შაბათ-კვირის მთავარი მატჩი, თუმცა გერმანული საფეხბურთო საზოგადოებისთვის უთუოდ გამორჩეულია. რატომ? იმიტომ, რომ დღეს „ვოლფსბურგის" მაისურა პირველად უნდა მოირგოს „ბაიერნის" ყოფილმა კაპიტანმა, ჭირვეულმა გმირმა თუ ანტიგმირმა შტეფან ეფენბერგმა. შარშანდელი სეზონის შემდეგ ბევრს აღარ სჯერა, რომ ეფე ოდესმე ჩვეულად ათამაშდება. ზოგი ამას მის წლოვანებას, ზოგიც უცნაურ ხასიათს მიაწერს, მაგრამ ამ ვითარებაში მთავარი ეფენბერგის ქმედითუნარიანობა არ უნდა იყოს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როცა „ვოლფსბურგი" ტელეეკრანებზე გამოჩნდება, პირველ და ფართო პლანით ყოველთვის მას უჩვენებენ. გამოცდილება და კლასი კი ისეთი აქვს, როგორ იჭნება, ხანდახან არ იკადრის. მოკლედ, „ფოლკსვაგენმა" („ვოლფსბურგი" სწორედ ამ ავტოკონცერნის გუნდია) მშვენიერი მერეკლამე იშოვა, ხოლო დანარჩენი მერე ვნახოთ.

შაბათის მთავარი თამაში კი... სულ რაღაც ორი კვირის წინ ამაზე მავანს გაეცინებოდა კიდეც — „ლევერკუზენი" — „ბოხუმია". აბა, სად შარშანდელი ყველგანვიცე „ბაიერი" და სად ელიტის დებიუტანტი „ბოხუმი", მაგრამ დრონი მეფობენო, ნათქვამია. „ლევერკუზენი" მესამე ტურამდე ორი ფრით მივიდა, „ბოხუმი" კი ორი გამარჯვებითა და ბურთების საოცარი სხვაობით (8:1) დღეს საღამომდე მაინც ბუნდესლიგის ლიდერია. მისი მწვრთნელი, 47 წლის პეტერ ნოირურერი ბოლო დღეებში ერთობ პოპულარული კაცი გახდა, ხოლო ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობს. ბოხუმელებმა გახსნის მატჩში ნიურნბერგში 3:1, მერე კი შინ „კოტბუსთან" 5:0 მოიგეს. მათმა გაესპანელებულმა დანიელმა თომას კრისტიანსენმა ჯამში ხუთი გოლი გაიტანა და ერთი, რომ ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა და მეორეც, ამ მაჩვენებლით ლეგენდარული გერდ მიულერის მიღწევა გაიმეორა — ორ ტურში ხუთი ბურთი ბუნდესლიგაში „ნაციის ბომბარდირის" შემდეგ აღარავის გაეტანა.

კრისტიანსენი 29 წლისაა და „ბოხუმამდე" ცამეტი კლუბი გამოუცვლია. ძირითადად ესპანეთში ბურთაობდა და ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურა ორჯერ მოურგია. შარშან პირველ ბუნდესლიგაში 17-ჯერ გამოიჩინა თავი და მეგოლეთა შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. მის გარდა ნოირურერის ბიჭებიდან ახალწვეულები, კამერუნელი რაიმონ კალა, ხორვატი ფილიპ ტაპალოვიჩი და ისლანდიელი თურდორ გუდიონსონი შეიძლება გამოვარჩიოთ. ხოლო ძველებიდან ალბათ 33 წლის დარიუშ ვოშისა და სამხრეთაფრიკელი დელრონ ბაკლის გვარ-სახელები თუ გეცნობათ.

ამათ პირველი ნაღდი გამოცდა დღეს ელით „ბაიარენაზე". საინტერესო კი იცით რა არის? მასპინძელთა მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი 1994-99 წლებში სწორედ „ბოხუმის" დამრიგებელი გახლდათ. ამ კლუბში კახა ცხადაძის „აინტრახტიდან" მივიდა, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. დღეს კი ტოპი ამბობს: „არ მაინტერესებს რა გზით, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთო. არც გაემტყუნება, ორი ქულით „ლევერკუზენი" ჯერჯერობით მე-12 ადგილზეა."

„ჰამბურგი", ვისაც „ბაიერნთან" შინ 1996 წლის შემდეგ აღარ უმარჯვია, სამწუხარო ტრადიციის მოშლას დაშავებული ბოსნიელის, სერგეი ბარბარესის გარეშე ეცდება. სტუმარ მიუნხენელებს კი მუხლმტკივანი სებასტიან დაისლერი და პარაგვაელი როკე სანტა კრუზი არ ეყოლებათ.

ჩემპიონი „დორტმუნდი" „შტუტგარტს" დაუხვდება. ბორუსიელთა შორის წლეულს პირველად გამოჩნდება მოკეთებული მცველი და კაპიტანი, 35 წლის შტეფან როიტერი. „ლევერკუზენის" არ იყოს, „ბორუსიამაც" უკვე საკმაოდ გაფლანგა ქულები და დღეს აუცილებლად სამი ქულის მოხვეჭას შეეცდება.

ხვალ კი ჰუუბ სტევენსი „შინ" ბრუნდება. „შალკეს" ბოლო წლების წარმატებათა შემოქმედი გელზენკირხენში ბერლინის „ჰერტას" ჩაიყვანს. ამ ზაფხულს ესენი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, გერმანიის ლიგის თასის ფინალში სტევენსმა ახალგაზრდა კოლეგა ფრანკ ნოიბარტის გუნდი 4:1 დაამარცხა. მაგრამ დაიწყო ბუნდესლიგა და „შალკემ" ორივე საწყისი მატჩი მოიგო, „ჰერტა" კი ორი ქულით ცხრილის შუაში „დორტმუნდისა" და „ლევერკუზენის" მეზობელია.

# ინგლისი

ლევან თაქართქილაძე

# დიდი სახელები ინგლისში

## ბირმინგემში ფრენკ სინატრა გაახსენდებათ

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მანჩესტერ სიტი | — | ნიუკასლი |
| ბირმინგემი | — | ბლეკბერნი |
| ვესტ ჰემი | — | არსენალი |
| ბოლტონი | — | ჩარლტონი |
| ლივერპული | — | საუთჰემპტონი |
| მიდლსბრო | — | ფულემი |
| სანდერლენდი | — | ევერტონი |
| ტოტენჰემი | — | ასტონ ვილა |
| ჩელსი | — | მანჩესტერი |
| წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ფულემი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ლიდსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სანდერლენდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ევერტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბლექბერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბირმინგემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბოლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| სიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

**მეორე** პრემიერლიგური ტურის ცენტრალური მატჩი გუშინ ჩატარდა, თუმც „ჩელსი"—„მანჩესტერზე" უკეთესი თამაშები, ვინძლო დღეს ვიხილოთ.

ლონდონური დერბი ერთობ მომხიბვლელი მოსჩანს — „ვესტ ჰემი" ხომ ჩემპიონ „არსენალს" მასპინძლობს. მართალია, წინა ტურში „ჩაქუჩები" ნიუკასლელებმა დააჩაქუჩეს 4:0, მაგრამ დღეს ხომ „ვესტ ჰემი" შინ თამაშობს, თანაც „არსენალთან".

„ვესტ ჰემს" ტრავმების გამო კვლავ არ ეყოლება სამი წამყვანი მოთამაშე — შემტევი პაოლო დი კანიო, ნახევარმცველები სტივ ლომასი და დონ ჰათჩისონი.

პრობლემები აქვთ „მეთოფეებსაც" — არსენ ვენგერის გუნდს კარგა ხანია დაშავებულები ჰყავს რობერ პირესი, ფრედერიკ ლიუნგბერგი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი. „არსენალს" პირველი ტურის შემდეგ დენის ბერხკამპიც ეზარალა, რომელსაც კუნთი დაეჭიმა.

პირველ ტურში გალიდერებულ „ფულემს" ყველაზე უფრო სილვენ ლეგვინსკის ემედება, რომელმაც პირველ ტურში „ბოლტონთან" დუბლი გააზერხა. ლონდონელთა მეტოქე „მიდლსბროს" სერიოზული პრობლემა კი ისაა, რომ ბრაზილიელი ჟუნინიო მომდევნო კვირაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავა მუხლის საოპერაციოდ — მას არც წინა ტურში უთამაშია.

სხვათა შორის, პირველ ტურში თავი ვერაფრით გამოიჩინეს „მიდლსბროს" ახალშენაძენებმა — იტალიელმა შემტევმა მასიმო მაკარონემ და კამერუნელმა ჯერემიმ.

ჟერარ ულიეს „ლივერპულს" დიტმარ ჰამანი გამოუჯანმრთელდა, ვინც ამ ოთხშაბათს გერმანია—ბულგარეთის ამხანაგური მატჩი გამოტოვა. „საუთჰემპტონის" ჯილა, ლატვიელი მარიან პახარსი კი პირველ ტურში ერთობ უნიათოდ გარჯილა, რაც ინგლისში ყველას გაუკვირდა და დღეს მისგან უკეთ თამაშს ელიან. „საუთჰემპტონის" ეკვადორელი შემტევი აუგუსტინ დელგადო კი კვლავ ვერ ითამაშებს, ნაოპერაციევ ფორვარდს რამდენიმე კვირა კიდევ სჭირდება სრულ გამოჯანმრთელებამდე.

კევინ კიგანი და ბობი რობსონი — დიდი სახელები ინგლისში კი არა, მთელს ევროპაში და ისინი მათი გაწვრთნილი გუნდების მატჩს მხოლოდ ლაზათს შესძენენ. იქნებ კიგანის „მანჩესტერ სიტიმ" გაამართლებით იბრძოლოს რობსონის „მეციხოვნეთა" წინაამდეგ, სიტელებს ხომ ნიკოლა ანელკა ჰყავთ.

საფიქრალი მისძალებია გლენ ჰოდლს, რომლის „ტოტენჰემს" საკმაოდ ბევრი მოთამაშე ჰყავს დაშავებული. საეჭვოა დარენ ანდერტონისა და კრისტიან ციგეს თამაში, ისევე როგორც სტეფენ ივერსენისა — ის ხომ ავტოკატასტროფაში მძიმედ დაშავებულ ძმას ადგას საავადმყოფოში. რაც შეეხება „ასტონ ვილას", მას გამოჯანმრთელებული შემტევი ხუან პაბლო ანხელი დაუბრუნდება, ვინც წინა სეზონში ვილელთა შორის ყველაზე შედეგიანი გახლდათ.

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" იყო, პირველ ტურში „მანჩესტერმა" ძლივს რომ მოუგო, თანაც ათ კაცს. დღეს პრემიერლიგაში ახლადაღზევებულნი ტერი ვენეიბლზის „ლიდსს" დაუხვდებიან, რომელსაც მაგარი ბიჭები ჰყავს — რობი კინი, მარკ ვიდუკა, ალან სმიტი... ხოლო დომინიკ მატეოს თამაში სათუოა.

„სანდერლენდ"—„ევერტონის" წყვილზე სათქმელი ისაა, რომ „ევერტონს" სხვადასხვა ეროვნების რვა კაცი ჰყავდა გაშვებული ოთხშაბათის ამხანაგურ მატჩებზე და ყველანი საღ-სალამათნი დაიბრუნა.

„ბირმინგემ სიტი" და „ბლექბერნ როვერსი" — აქ მთავარი სიტყვა ფორვარდებს ეკუთვნისო, მიაჩნიათ ინგლისელ მიმომხილველებს. ბირმინგემელებს, შესაძლოა, პირველტურგამოტოვებული თავდამსხმელი კლინტონ მორისონი დაუბრუნდეთ, რომელსაც საზარდულიც აწუხებდა და ორთავე კუნთიც. რაც შეეხება „ბლექბერნს", მას ხომ ერთ დროს მრისხანე მანჩესტერული დუეტი ჰყავს თავდასხმაში — ენდი კოული და დუაიტ იორკი. იყო დრო, მანჩესტერში დუაიტ იორკის პატივსაცემად ფრენკ სინატრას ცნობილი სიმღერა „ნიუ იორკ, ნიუ იორკ" რომ გადააკეთეს — „დუაიტ იორკ, დუაიტ იორკ..."



ბობი რობსონი და კევინ კიგანი



„კოლომიეს" ორი ლელო გია ლაბაძემ გაიტანა

# ქართველები პლაჟზე

## სორელმა ნაკრები სახლში წაიყვანა

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ბორჯღალოსნები მშობლიურ ბეზიეში შეკრიბა, რაც მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების სორელისეული გეგმის ერთ-ერთი ეტაპია. შეკრებაზე 30-მდე მორაგბეა. მათ შორის არ არის კაპიტანი ლევან ცაბაძე, რომელიც სორელმა ამჯერად მის კლუბ „მონფერანს" დაუთმო.

აგვისტოში ეს მეორე სანაკრებო შეკრებაა. პირველი, 10-დღიანი, ლა როშელში მოეწყო და წინა ოთხშაბათს დასრულდა.

ბეზიეში ბორჯღალოსნები ოთხთა ტურნირში მონაწილეობენ, რომელსაც „ვაკერნას თასი" ჰქვია. საქართველოს ნაკრების გარდა ამ მინიტურნირში ელიტარული ფრანგული კლუბები — „მონტობანი", „ბეზიე" და „კოლომიე" თამაშობენ.

ბორჯღალოსნებმა უკვე გამართეს პირველი შეხვედრა და „კოლომიესთან" 34:48 წააგეს. ჩვენებურთაგან ორი ლელო გია ლაბაძემ გაიტანა, თითოჯერ კახა ალანიამ, ბადრი ხეხელაშვილმა და თედო ზიბზიბაძემ გამოიჩინეს თავი. ორი ლელო პალიკო ჯიმშელაძემ გარდასახა, ამდენივე გარდასახვა და ერთი საჯარიმო მალხაზ ურჯუკაშვილის ანგარიშზეა. მე-3 ადგილისთვის ჩვენები „მონტობანისგან" ძლეულ „ბეზიეს" დაუპირისპირდებიან. ოთხი ქართველი მორკინალი — ვანო ნადირაძე, მევლუდ მთიულიშვილი, ტარიელ რატიანიძე და გოდერძი შველიძე ბეზიელია და გამორიცხული არ არის, მომდევნო მატჩში კლუბის ღირსება დაიცვან.

ბეზიემდე ჩვენებმა მარსელში შეიარეს, სადაც ეგზოტიკური პლაჟის რაგბი დააგემოვნეს. ეს არის თამაში ოთხი ოთხზე და მხოლოდ ლელოები ითვლება. ქართველებმა პლაჟის რაგბის მალე აუღეს ალღო და ოთხთა ტურნირი მოიგეს: ფინალში კოტ-დივუარის ნაკრებს 10:5 სძლიეს.

# ცაბაძე შეუცვლელი იყო

## აშვეთიას ათი წუთი ეყო

**ახალი** სეზონისთვის მზადებას განაგრძობს ლევან ცაბაძისა და დავით აშვეთიას „მონფერანი". საფრანგეთის ჩემპიონატის მოწინავე კლუბი ჯერ შინ ემზადებოდა, მერე მთაში მოიწყო შეკრება, ახლა კი სპარინგ-მატჩებს მართავს.

საფრანგეთის ჩემპიონატი 28 აგვისტოს იწყება და ჩვენებურების კლუბიც ცდილობს, ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენოს. საამისოდ „მონფერანმა" ტესტ-მეტოქედ საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი „ტულუზი" შეარჩია და ტიტულიანი გუნდი შინ მიიპატიჟა. მონფერანის 5-ათასიანი სტადიონი ბოლომდე შეივსო, მაგრამ, მონფერანელთა სამწუხაროდ, მათმა ჯილამ ამხანაგური ჯახი 2:24 წააგო. ბორჯღალოსანთა კაპიტანი ლევან ცაბაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ითამაშა. დავით აშვეთია კი ბოლოსკენ შეუშვეს და მანაც 10 წუთი დაჰყო მოედანზე. მასპინძელთაგან გამოირჩა საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი ქერალ მერსერონი, რომელმაც თავის გუნდს 9 ქულა შეაწია და შეტევებს ჩვეული გონივრულობით უძღვებოდა.

„მონფერანის" მორიგი სპარინგ-მეტოქე ამ უქმეებზე „კოლომიე" იქნება.



ლევან ცაბაძე „მონფერანში" მონდომებით ვარჯიშობს



„დათვები" ევროპისკენ დაიძრნენ

# დათვების პირველი ევროგანდაგანა

**საქართველოს** ვიცე-ჩემპიონსა და თასის მფლობელ ბათუმის „დათვებს" დღეს ევროდებიუტი აქვს. ზღვისპირელები ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. კონტინენტის საკლუბო ტურნირებში ეს შეჯიბრი რანგით მესამეა, აქ კლუბები თავიანთი რეგიონების სახელით გამოდიან. „დათვებიც" აჭარის რეგიონის სახელით ითამაშებენ.

ბათუმელები ტურნირს მეორე წრიდან იწყებენ. მათი მეტოქე დანიის ალმოსავლეთ რეგიონის ნაკრები იქნება, რომელიც სამოყვარულო „კოპენჰაგენის" მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. კაცმა რომ თქვას, დანიური რაგბი დიდი ვერაფერი ბედენაა, მით უმეტეს, მათი საკლუბო დონე, მაგრამ სუსტი მეტოქის უპატივცემულობა და მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა რომ დამღუპველია, ეს საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმაც" გამოსცადა თავის თავზე.

გავიხსენოთ: 22 ივნისს რკინიგზელებმა ამავე ტურნირში სადებიუტო მატჩი წააგეს პორტუგალიის ჩრდილოეთ რეგიონთან და ტურნირს გამოეთიშნენ.

ბათუმელთა დღევანდელ მეტოქეზე ცნობილი ისაა, რომ ტურნირის პირველ წრეში ჰოლანდიელებს მოუგო. ჩვენიანებს და დანიელებს შორის გამარჯვებული კი 13 ოქტომბერს მერვედფინალში უელსის რეგიონს დაუპირისპირდება. ოღონდ ადვილი მოსალოდნელია, თარიღი შეიცვალოს, რაკი 13 ოქტომბერს თბილისში საქართველო — რუსეთი სარაგბო მატჩია და მთელი ყურადღება აქეთკენ იქნება მიმართული. თანაც საქართველოს ნაკრებში შეიძლება „დათვების" რამდენიმე მორაგბეს დაუძახონ.

**ბაჩო სვანიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

იაო მინგი ბრძოლას სწავლობს

# იაო მინგმა ზოგ-ზოგებს აზრი შეაცვლევინა

*იაო მინგს მტკიცედ სჯერა, რომ თავისი 226-სანტიმეტრიანი სიმაღლის და თასმასავით მოქნილი სხეულის წყალობით მალე საკალათბურთო მექას, ნბას დაიპყრობს, მაგრამ დღეს იძულებულია, აღიაროს ამერიკელთა უპირატესობა. სან ფრანცისკოში ამხანაგურ შეხვედრაში მისმა ჩინეთმა ამერიკის ნაკრებთან 54:84 წააგო*

„იაოს არა უშავდა, მას ჰქონდა კარგიც და ცუდი მომენტებიც, მაგრამ მთავარია, რომ მის დღევანდელ თამაშში გამქრალიყო ის მოკრძალება, რომელიც იაომ რამდენიმე დღის წინ კანადელებთან შეხვედრაში გამოამჟღავნა" — წერენ ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგები. მინგმა ამერიკელებს ჩაუგდო 13 ქულა და მოუხსნა 11 ბურთი, რაც ჩემბერლენის 100-ქულიანი თამაშის დარი გმირობაა ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩინელმა მაინც აიძულა ამერიკელები, მისთვის ისე არ შეეხედათ, როგორც მხოლოდ გრძელი და დაბღურა ბიჭისთვის. „თვალები ამეხილა. ის ბევრად უკეთესია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით, მგონი, ყველას შეგვეცვალა წარმოდგენა იაო მინგზე" — ამბობს ამერიკელთა შორის იმ დღეს ყველაზე შედეგიანი მაიკლ ფინლი.

იაომ წააგო პირველი ბრძოლა ნბა-ს ვარსკვლავებთან, მაგრამ ღირსება არ დაუკარგავს. მართალია, ამერიკელთა ფარის ქვეშ ნბა-ს უძლიერეს დამცველ, 206-სანტიმეტრიან ბენ ვოლესთან და ჯერმენ ონილთან ჯაჯგურში ლამის გაიჭყლიტა, მაგრამ ამჯერად მას თავი არ აურიდებია ბრძოლისთვის. კანადასთან ის რამდენჯერმე გამოაგდეს სამწამიანი ზონიდან, ამერიკელებთან კი წონოლა ჩინელმა მეტოქეს არათუ ზურგი უჩვენა, მათ მხარს მხარი დაუხვედრა. ერთხელ მან ჩატენვაც მოახერხა. მატჩის პირველ ნახევარში მინგმა ანტონიო დევისს არ ჩაატენინა, ერთი სიტყვით, ამ 21 წლის ბიჭმა თანდათან გამოაჩინა კლანჭები. „რა თქმა უნდა, მე ბოლომდე არ მიჩვენებია ის, რაც ვიცი, მაგრამ ეს არ მადარდებს, რადგან ყველაფერი წინა" — ამბობს რწმენადაბრუნებული იაო.

**ირაკლი ფირაშვილი**



# ქართველმა ბავშვებმა თურქული ოქრო-ვერცხლი მუჭა-მუჭა დახვეტეს

**ამ რამდენიმე** დღის წინ ქართველი სპორტსმენები მეზობელ თურქეთს სტუმრობდნენ. 21 აგვისტოს ტრაპიზონში მარცხნაჭამ ფეხბურთელებს კი არა, ნორჩ კარატისტებს ვგულისხმობთ, რომლებიც თურქეთიდან მაშინ მოდიოდნენ, როდესაც ფეხბურთელები მიდიოდნენ. მათ 51 მედალი ჩამოიტანეს საქართველოში.

ტრაპიზონიდან დასავლეთით, სამასიოდე კილომეტრის მოშორებით, ასევე შავი ზღვის პირად გაწოლილმა კოხტა ქალაქ სამსუნმა 16-18 აგვისტოს უმასპინძლა 10-15 წლის გოგო-ბიჭებს შორის შავიზღვისპირეთის ქვეყნების პირველ ღია ჩემპიონატს.

არახალია, საქართველოს კარატე-დოს ფედერაცია, სხვა მრავალთა დარად, ჩვენში არცთუ კარგად დაფინანსებული ორგანიზაციაა, მაგრამ ქართველმა კარატისტებმა მაინც მოახერხეს თურქეთში საკმაოდ წარმომადგენლობითი რაზმის გაგზავნა. თურქეთში ქართველთა სტუმრობის ხარჯების ნაწილი საქართველოს კარატე-დოს კავშირმა დაფარა, დანარჩენი კი ბავშვებმა სახლიდან გამოტანილი ფულით შეავსეს. 50-სპორტსმენიანი, სულ კი 65-კაციანი დელეგაციით წარუდგნენ შავი ზღვის მონაპირე ქვეყნებიდან სამსუნში შეკრებილ ნორჩ კარატისტებს. თურქეთში გამგზავრებამდე საქართველოში ჩატარდა ჩემპიონატი და ნაკრები შედგა აქ გამარჯვებულებისა და ფინალისტებისგან. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს იყო ღია ტურნირი და შავზღვეელებს სხვა რეგიონელებთან, კერძოდ ირანელებთან, უზბეკებთან და ყაზახებთანაც მოუწიათ თავიანთი ძალისა და ოსტატობის ჩვენება. შავზღვისპირა ქვეყნების კარატე-დოს ფედერაცია ახლახან შეიქმნა და მისი პრეზიდენტია თურქი საბაჰატინ სეტინი, ხოლო ვიცეპრეზიდენტი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული კავშირის პრეზიდენტი ოთარ გრძელიშვილი.

გამართული ქვეყანაა თურქეთი და კარატეს იქაურმა მესვეურებმაც ეს ტურნირი გამართულად ჩაატარეს. ყველაფერს შესანიშნავად გაართვეს თავი, დაწყებული ქუჩაში საზეიმო მსვლელობით, დამთავრებული გამარჯვებულთა დაჯილდოებით.

მაგრამ თურმე თურქები ბოლომდე პირნათელნი როდი ყოფილან სტუმრებთან. ჩვენებური მხილველები ამბობენ, სამსუნის ქუჩებში საზეიმო მსვლელობისას მთელი ქალაქი შემოვიარეთო. ქალაქი კი მოსწონებიათ, მაგრამ მის დათვალიერებაში ცოტა მოღლილან.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ პირდაპირ ტატამზე მოხვედრილი ჩვენებურები მტკიცედ შერკინებიან მეტოქეთ და სამსუნიდან სამშობლოში 51 მედალი, აქედან ექვსი ოქრო წამოუღიათ. ოქროს მედალი აიღო ოთხმა ბიჭმა — ირაკლი ჭიაბრიშვილმა, გიორგი ხუხუნაშვილმა, დავით ჯანაშვილმა, მიხეილ აბესაძემ და ორმა გოგონამ — თამარ მახარაძემ და თამარ ხატიაშვილმა.

**გალხაზ ჭუმბურიძე**



ოთარ გრძელიშვილი და მიხეილ მახარაძე ქართველ შეგირდებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## US OPEN 2002

### ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ჰიუიტი (1) — კუტელო
შერჩეული — შერჩეული
დავიდენკო — შერჩეული
ვაჰალი — ბლეიკი (25)
რიოსი (22) — ბიორკმანი
შერჩეული — შერჩეული
ორნა — შერჩეული
კრაიჩეკი — ნოვაკი (14)
ნიემინენი (34) — ვისენტე
ჰიუნგ-ტაიკი — ფიში
ო. როშუ — არაზი
მორისონი — ელ აინაუი (20)
რობრედო (31) — საბალეტა
კალერი — მელიგენი
ვაჩეკი — ფერეირა
ნორმანი — კოსტა (8)
კაფელნიკოვი (4) — სანგვინეტი
შერჩეული — ჰრბატი
გაუდენცი — დიუპუა
სავოლტი — მირნი (32)
მალისი (19) — მონტანესი
გოლმარი — სპადია
ჩანგი — კლავეტი
ვანეკი — ფედერერი (13)
მოია (9) — ვოინეა
გემბილი — ნოული
სა — ლოპესი
ტ. მარტინი — გაუდიო (21)
პაველი (30) — ლევი
ბოგომოლოვი — დელგადო
გიმელსტობი — შერჩეული
ჯინეპრი — აგასი (6)
ჰენმანი (5) — შერჩეული
შერჩეული — ულირახი
ლოდრა — აკასუსო
მანტია — ჩელა (26)
კორეჩა (18) — ლაბაძე
შერჩეული — შერჩეული
დენტი — სლოიტერი
შერჩეული — როდიკი (11)
რუზეცკი (33) — კიმი
შრიჩაფანი — არმიტრაჯი
შერჩეული — პლესი
პორტასი — სამპრასი (17)
ენკვისტი (29) — ბიოკერი
ა. მარტინი — კრატოხვილი
კუჩერა — სტეპანიკი
სანჩესი — ჰაასი (3)
ფერერო (7) — ართურსი
შერჩეული — შერჩეული
კარლსენი — სარეტა
მატიო — გონსალესი (28)
შიუტლერი (23) — შერჩეული
შერჩეული — კორია
კუბეკი — კლემანი
როსე — გროჟანი (10)
ნალბანდიანი (16) — სარგსიანი
პოპი — ვინსიგერა
სანტორო — ლიუბიჩიჩი
ფილიპუსისი — შალკენი (24)
ლაპენტი (27) — მასუ
მელცერი — ბრეზინგტონი
ბუტე — კუერტენი
კოფერი — საფინი (2)



შარმან ლეიტონ ჰიუიტი „მხოლოდ“ გამარჯვებული იყო, წლეულს კი უცილობელი ფავორიტია

# ჩოგბანთა და მზერათა გადაკვეთაში

*ორშაბათიდან ნიუიორკული „ფლეშინგ მედოუზი“ აშშ-ის 121-ე ღია პირველობას უმასპინძლებს. პირველობა 8 სექტემბრამდე გასტანს და მასში მონაწილე მეჩოგნეები წლის უკანასკნელ სლემტიტულთა გარდა ერთმანეთს საპრიზოდ დათქმულ 16 მილიონ 174,200 დოლარსაც გაედავებიან.*

*ერთეულებში გამარჯვებულები 900-900 ათასს მიიღებენ, წარუმატებელი ფინალისტები — 450-450 ათასს. გამარჯვებულ წყვილოსნებს 350-350 ათასი ერგებათ, დამარცხებულებს — 175-175 ათასი. შერეულ წყილთა შორის ნახეირები კაცი და ქალი ერთმანეთში 130 ათასს „გატეხავენ“, მათ ძლეულ მეტოქეებს კი 65 ათასის გაყოფა მოუწევთ.*

*ეს ტურნირი უამრავ მობურთალთან ერთად მრავალათასიან ქომაგობასაც მოიკრებს, ხოლო რაკილა 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ყოველ ხალხმრავლობას ამერიკაში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით უხვდებიან, დიდი ჩოგბურთის ცოცხლად ნახვის მოსურნეთ მრავალი აკრძალვის ატანა მოუწევთ.*

*ტრიბუნებზე მოსახვედრად მაყურებელს სკანერებში გაატარებენ, რადიოს, კამერასა და დროშას ჩამოართმევენ და მკაფიოდ განუმარტავენ, რომ თამაშების დროს განსაკუთრებული აქტიობა არ ეგების. მაშინ, როცა მრავალეროვანი ლიანგის თვალი კორტის,ჯენ იქნება მიპყრობილი, თავად ლიანგს უშიშროებისა და პოლიციის თვალი განჭვრეტს.*

*იმედია, მზერათა ამ ურთიერთგადაკვეთაში მაინც უფრო ისეთი მუხტი შენივთდება, სიძულვილზე მეტად სიყვარულს რომ გამოაფეთქებს. ზიარ სასწაულში მონაწილეობისას გაჩენილ სიყვარულს...*



ამერიკის ბოლო ორი პირველობის მომგები ვინუს უილიამსი დაიკო სერენამ ჩრდილში მოიქცია

### ქალების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

ს. უილიამსი (1) — მორარიუ
გრანდე — საფინა
ტულიაგანოვა — სერა-ძანეტი
მატევეჩი — დეში (26)
ბედანოვა (20) — ჟიდკოვა
ბეიკერი — ლიხოვცევა
შერჩეული — ტუ
მარერო — მისკინა (15)
ჰანტუხოვა (11) — პრატი
დიას-ოლივა — რაცანო
სრებოტნიკი — გრენვილი
ჰერკლროუდი — მაიოლი (24)
ტანასუგარნი (27) — რიტნერი
ბილეკი — შერჩეული
ბლეკი — შერჩეული
რივზი — ენენი (8)
დევენპორტი (4) — დირბერგი
მანდულა — ორემანსი
ლოს რიოსი — ჩერვანოვა
შერჩეული — სანჩეს-ვიკარიო (25)
კრემერი (19) — შერჩეული
ჰუსაროვა — შერჩეული
გარბინი — კალენსი
შერჩეული — ფარინა ელია (13)
დემენტიევა (12) — ობატა
სკიავონე — შერჩეული
ტეილორი — შერჩეული
ოსტერლო — პანოვა (22)
სტივენსონი (31) — ფორე
კურნიკოვა — ვიჯაჯა
ფერნანდესი — ბოვინა
არნი — დოკიჩი (5)
კლაისტერსი (7) — მარტინეს გრანადოსი
ლეონ გარსია — ვაშინგტონი
გალიარდი — ზვონარევა
ნაგიოვა — დანილიდუ (28)
შნიდერი (23) — პეტროვა
გერსი — სუხა
ტორენს-ვალერო — რიოში
შერჩეული — მორესმო (10)
მალეევა (16) — ჰრდლიკოვა
ასაგოე — ლუა
ფრეზერი — რუანო პასკუალე
შერჩეული — სუგიამა (18)
შონესი (30) — პრაკუსია
ვაინგარტნერი — მარტინესი
პისნიკი — სესიჩი
შერჩეული — კაპრიატი (3)
სელეში (6) — გუბაში
ტალაია — შვარცი
შერჩეული — სერმა
პირსი — სუარესი (32)
სმაშნოვა (17) — მიქაელიანი
პუჩეკი — კუცერი
მონტოლიო — შერჩეული
ირვინი — ჰინგისი (9)
რუბინი (14) — კრეიბასი
ბარნა — პოდკოლზინა
კაზანოვა — კოსტანიჩი
ჰოპკინსი — რეიმონდი (21)
შეტი (29) — სვენსონი
შერჩეული — მიულერი
მოლიკი — ვარტუში
შერჩეული — ვ. უილიამსი (2)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

US OPEN 2002

# ღმერთო, როგორ მიყვარს ეს ბიჭი

## უსტაბაში ამქარს მეოთხედ მიუძღვის

*წლის უკანასკნელ სლემტურნირში – წინა სამის დარად – კაც მეჩოგნეებს ისევ შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი უყოჩებს.*

*არცთუ წარმატებული ნაუიმბლდონევი გარჯის მიუხედავად – ტორონტოში ის პირველივე წრიდან დაითხოვეს, ცინცინატურ ფინალში მას კარლოს მოიამ სძლია, ინდიანაპოლისში კი მეოთხედფინალის მიჯნასთან მის წინაშე ზორბა გრეგ რუზეცკი აღიმართა – აშშ-ის ღია პირველობას კაცთა ამქრის უსტაბაში მაინც იმედიანად ეგებება.*

*„ამ ტურნირმა ერთიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება – ამბობს ჰიუიტი – მე ხომ აქ ჩემი პირველი სლემტიტული მოვიპოვე. ამიტომაც მასთან მობრუნებას საოცრად განვიცდი".*

*ორი კვირის შემდეგ ყოველ ჩვენგანს უკვე დასტურ ეცოდინება, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა ამ განცდებმა ტიტულის ჭაბუკ დამცველზე – შეძლო თუ არა მან პირველი კაცი გამხდარიყო თვისტომ პატ რაფტერის შემდეგ, ვინაც „ფლეშინგ მედოუზზე" ზედიზედ ორი წელი გაილაღა, თუ დიდება მასზე იღბლიან რომელსამე რაყიფს დაუთმო...*

*სანამ ნიუ იორკში ბარაქიანი ჩოგნაობა გახურდებოდეს, ჩვენი გალმალამანშელი კოლეგების პასით იმ კაცთა მცირე პორტრეტებს წარმოგიდგენთ, რომელთაც საქმეში ჩახედული ხალხი წლის უკანასკნელი დიდი ჯილდოს უმთავრეს მაძიებლებად მიიჩნევს.*

*მეჩოგნეებს მათი განთესვის მიხედვით დავნომრავთ*



პიტ სამპრასი: კაცი, რომელიც მიდის და არ უნდა...

### 1 ლეიტონ ჰიუიტი

21 წლის ავსტრალიელი მშობლიურ ადელაიდაში ცხოვრობს. იგი მემარჯვენეა და ხელწალმად შეტყუპებული ხელებით ურტყამს. სლემმარაგში ორ — 2001 წლის აშშ-ის ღია პირველობასა და წლევანდელ უიმბლდონზე მოხვეჭილ ტიტულებს მოიძევს. მისი საფლეშინგმედოუზო მონაგარი ასეთია: 1999 — მესამე წრე, 2000 — ნახევარფინალისტი, 2001 — ჩემპიონი.

ის უსწრაფესი მოთამაშეა, კორტზე ქარივით დაჰქრის, საჩოგნეთის ერთ-ერთ საუკეთესო დამბრუნებლად ითვლება და ყოველ გათამაშებაში მთელ თავის ჯიგარს აქსოვს. ადრეიანვარში ჩუტყვავილამოძალებულს ავსტრალიის ღია პირველობაზე ბურთაობა არ დასცალდა, სანაცვლოდ მერე მთელი სეზონი რიგიანად ჩაითამაშა და რეიტინგსიაში თავისი პირველობა ეჭვქვეშ ერთხელაც არ დაუყენებია.

ტურნირის დაწყებამდე მასზე ყველა ალმატებით ხარისხში საუბრობს.

ასე, მაგალითად: ამერიკელ მედევისეთა კაპიტანი, პატრიკ მაკინროი თვლის, რომ ჰიუიტი და თამაშის მისეული „უკანახაზური სტილი" სახეს უცვლის თანამედროვე ჩოგბურთს.

მაკინროის აზრით, „თითქმის ცალხელა" ავსტრალიელმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა კორტზე ჯანიან მომწოდებელთა აულაგმავი თარეში და იმედი გადაურჩინა იმ ათასობით უწლოვან ყრმას, რომელთაც დიდი ჩოგბურთის თამაში კი სურთ, მაგრამ მოკრძალებული ფიზიკური მონაცემები აქვთ.

„რა დაემართათ ნაქებ მეტრ და 90-სანტიმეტრიან გოლიათებს, რატომ ვეღარ ვხედავთ მათ კლასიფიკაციის კენწეროში? — სარკასტულად კითხულობს მაკინროი — ხალხი ერთთავად იმას ჩივის, თუ რა მოსაწყენი გახდა ჩვენი სპორტი, რომ ყველაფერს ახლა მხოლოდ მოწოდების სიმძლავრე განსაზღვრავს, რომ ჩოგბურთი მომწოდებელთა სარბიელად გადაიქცა. მაგრამ ეს სრული აბსურდია და ლეიტონისდარი მოთამაშეები კიდევ ერთხელ გვიმტკიცებენ იმის იმედს, რომ ჩოგბურთს მხოლოდ ეისებამდე დასვლის საშიშროება არ ემუქრება".

„როგორ შეიძლება, ჰიუიტი არ გიყვარდეს? — ეხმიანება მას ამერიკელ ფედთასელ ქალთა კაპიტანი ბილი ჯინ-კინგი — ის ხომ ნამდვილი გმირია ჩვენთვის, მათთვის, ვინაც მიწიდან მეტრსა და 90 სანტიმეტრზე ნაკლებს აითვლის".

„ეს ბიჭი გიჟდება ჩოგბურთისთვის, თითოეულ გათამაშებას ის ისე ჩოგნაობს, როგორც უკანასკნელს... ღმერთო, როგორ მიყვარს იგი. გამაგებინეთ, როგორ შეიძლება, ეს ბიჭი არ გიყვარდეს?".

პარადოქსულია, მაგრამ ჰიუიტისადმი სიმპათიას „ჯანიან მომწოდებელთა" ისეთი ტიპიური წარმომადგენელიც იზიარებს, როგორიც მისი ინდიანაპოლისელი მძლეველი და აშშ-ის ღია პირველობის 1997 წლის ფინალისტი გრეგ რუზეცკი გახლავთ.

„შეუძლებელია, ამ ბიჭის მიღწევებს არ აფასებდე. ის ყველაზე ახალგაზრდაა იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე გაპირველება მოუხერხებია, მან უკვე ორი სლემტურნირი მოიგო, ყოველ შეხვედრაში იგი პირველიდან უკანასკნელ გათამაშებამდე იბრძვის. იგი თითქმის ყოველთვის შენზე ერთით მეტ ნაბიჯს დგამს და ერთით მეტჯერ დარტყმას ასწრებს".

„იგი უდავო ფავორიტია, ვფიქრობ, რომ წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის ხასიათს უწინარესად სწორედ ლეიტონი, ანდრე აგასი და კარლოს მოია განსაზღვრავენ".

„რაც შეეხებათ მომწოდებლებსა და ჩამჭრელებს, ვინძლო, მათ შორის უკანასკნელი შანსები არც მე მქონდეს".

### 2 მარატ საფინი

22 წლის ლონიერი და ნიჭიერი რუსი მონტე კარლოში ცხოვრობს. ჰიუიტის დარად იგიც მემარჯვენეა და ხელუკულმად შეტყუპებული ხელებით ურტყამს. სლემტურნირთაგან ოდენ ერთი, აშშ-ის ღია პირველობა მოუგია 2000 წელს. მისი საამერიკო მონაგარი ამგვარია: 1998 — მეოთხე წრე, 1999 — მეორე წრე, 2000 — ჩემპიონი, 2001 — ნახევარფინალისტი.

ორიწლისწინანდელ ფინალში საფინმა თვით პიტ სამპრასი დაამარცხა, შარშანდელ ნახევარფინალში უკვე სამპრასმა სძლია მას. თანამედროვე ჩოგბურთის უმთავრესი „მეყუმბარეა", მაგრამ დაუოკებელი ტემპერამენტის გამო ძალიან ბევრს ჰკარგავს. წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში შეჯღოგინდა, მაგრამ იქ შვედ ტომას იოჰანსონთან უნებისყოფოდ ჩაიფლავა.

მისმა „ორსახოვნებამ" თავი ჰამბურგის მასტერსტურნირზეც იჩინა, რომლის ნახევარფინალშიც ჰიუიტი კი გაანადგურა, მაგრამ გადამწყვეტ შეხლაში როჯერ ფედერერს ხეტისმოუგებლად დანებდა. ასევე დათმო მან როლან გაროსის ნახევარფინალში ხუან კარლოს ფერეროსთან.

### 3 ტომი ჰაასი

24 გერმანელი სამშობლოსგან ძალიან შორს, ფლორიდულ ბრედენტონში ცხოვრებას არჩევს. იგი მემარჯვენეა. სლემტიტული არ მოეპოვება და და აშშ-ის ღია პირველობაზე, სადაც 1996 წლიდან გამოდის, მეოთხე წრეს (2000, 2001) არ გასცილებია.

მძლავრი მომწოდებელია და ორივე მხრიდან თანაბრად ურტყამს. დიდი სლემის ტურნირებზე უმთავრეს მიღწევად მხოლოდ ავსტრალიური ნახევარფინალები დაეტრაბახება. წლეულს იქ მას მარატ საფინი მოერია.

შარშან ოთხი ტიტულის მოგება შეიძლო, ამ სეზონში კი მხოლოდ ერთხელ, რომაულ მასტერსტურნირზე უწია ფინალს. წინა წრეებში გროჟანის, მოიასა და როდიკის მძლეველი ფინალში ანდრე აგასიმ დაჩოგნა.

ჯერ კიდევ იანვრიდან მარჯვენა მხარი აწუხებს. ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ უკეთუ რამე სერიოზული მიზნის მიღწევა სურს, აუცილებ[...]ად ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

### 5 ტიმ ჰენმანი

ბოლო ათწლეულების საუკეთესო ბრიტანელი მეჩოგნე 28 წლისაა და დედალონდონი სხვა ქალაქზე არასოდეს გაუცვლია. ჩაუქ მემარჯვენეს დღემდე აუხდენელ ოცნებად შთენია რაგინდარა სლემტიტული. აშშ-ის ღია პირველობაზე იგი ბედს 1995 წლიდან სცდის და ჰაასის დარად მეოთხე წრე (1996, 1998) ვერც მას გადაულახავს.

ოთხგზის უიმბლდონის ნახევარფინალისტი საუცხოო მებალახსაფრეა, დანარჩენ საფრებზე კი ყოველთვის ვაგლახად ბურთაობს.

სეზონი მან ადელაიდური წარმატებით დაიწყო, მაგრამ მომდევნო ტურნირებზე ღირებული აღარაფერი გაუკეთებია, უიმბლდონის ნახევარფინალში ლეიტონ ჰიუიტთან დამარცხდა და მას შემდეგ აშშ-ის სამაგარსაფრო კორტებზე ვაინჩრობს.

### 6 ანდრე აგასი

32 წლის არმენოამერიკელი ლასვეგასელია და იქიდან საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა აზრადაც არასოდეს გაუვლია. ჩაუქ მემარჯვენესა და ტყუპად მეხელუკულმეს საშინაო „დიდების დარბაზში" 7 სლემტიტული მოეძევება: აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი ის 1994, 1999 წლებში იყო, ავსტრალიისა — 1995, 2000 და 2001-ში, უიმბლდონზე ზუსტად ათი წლის წინ იმარჯვა, როლან გაროსზე კი — შარშანწინ. „ფლეშინგ მედოუზზე" 1986 წლიდან თამაშობს და ორჯერ გამარჯვების გარდა ორჯერ ფინალში ითამაშა (1990, 1995), სამჯერ ნახევარფინალში (1988, 1989, 1996), ორჯერ (1992, 2001) მეოთხედფინალში, დანარჩენ წლებში ან მეოთხე წრემდე ბულრაობდა (1997, 1998) ანაც პირველიდანვე აბუნძურებდნენ (1986, 1987, 1991, 1993), მხოლოდ ერთხელ, 2000-ში გავარდა მეორე წრიდან.

მოთამაშეთაგან უმრავლესთათვის წლიური 4 ტიტული — და აგასიმ ამ სეზონში ორი მასტერსტურნირის (მაიამი და რომი) გარდა სკოტსდეილისა და ლოს ანჯელესის ტურნირებზეც იხეირა — საკმარისი მონაგარი იქნებოდა. მაგრამ კარიერის მიწურულს მყოფი დიადი მეჩოგნისთვის, რომელიც ერთი იმ უდიადეს ხუთთაგანია, ოთხსავე სლემტურნირზე რომ უმარჯვიათ, წლის მორიგი სლემტიტულის გარეშე გასრულება დიდი იმედგაცრუება იქნება. ამიტომ ჯადო-ანდრანიკი წლეულს ისეთი გაშმაგებით იომებს, როგორც არასდროს.

ავსტრალიის ღია პირველობაზე მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა, როლან გაროსის მეოთხედფინალში ხუან კარლოს ფერერომ დაამარცხა, უიმბლდონის მეორე წრიდან კი მას ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა აბარგებინა.

არ გამოტოვოთ მისი მატჩები. დაიხისკენ მიდრეკილ ცთომილს თავისი გამორჩეული ხიბლი ახლავს.

### 9 კარლოს მოია

25 წლის მემარჯვენე მალიორკელი ჟენევაში სახლობს. იგი როლან გაროსის 1998 წლის გამარჯვებულია და აშშ-ის ღია პირველობაზე, სადაც 1996 წლიდან ჩოგნაობს, საუკეთესო შედეგად 1998 წლის ნახევარფინალში თამაშს იხსენებს.

როგორც ყველა ესპანელი, მოიაც ჯიშად მეთიხნარეა, რაიც ველიხში ცხადყო ბასტადურ-უმაგური ტურნირების აოხრებით. მაგრამ მისი ჩაქუჩა ხელწალმა მას საშიშს ხდის ნებისმიერ საფარზე. ეს ადრეაგვისტოში ცინცინატურ მასტერსტურნირზეც გამოჩნდა, სადაც მან ბევრი რიგიანი მობურთალის გვემას ფინალში ლეიტონ ჰიუიტის დაჩაგვრაც მიაყოლა.

ორიწლისწინანდელი ტრავმის მერე მოკეთებული თვლის, რომ ახლა კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს და, რაკილა ამას საქმის მცოდნე ხალხიც ადასტურებს, ვინძლო, მართალი უნდა იყოს გრეგ რუზეცკი, ჰიუიტისა და აგასის გვერდით ტურნირის მთავარმარბიელთა შორის მის სახელსაც რომ მოიხსენიებს.

არ დაგავიწყდეთ, მისთვის საზეო 1999-ში მოია კაცთა რეიტინგსიის სათავეშიც მდგარა.

### 11 ენდი როდიკი

ეს უხიაგი ამერიკელი ჭაბუკი ფლორიდულ ბოკა რეიტონში ცხოვრობს და თავისი უნიჭიერესი მარჯვენით უკვე არც ისე ცოტა რამის მოგება მოასწრო, სლემტიტულამდე კი ჯერ ჩოგანი არ მისწვდენია. ეს მისი მესამე აშშ-ის ღია პირველობა იქნება — თუკი შარშანწინ პირველივე წრიდან დაითხოვეს, შარშან მეოთხედფინალამდე იბურთავა.

ეს-ესაა, კაცთა ზეათეულში შეიჭრა და ამით კიდევ უფრო გაამყარა ამერიკელთა იმედები, რომ იგი სამპრასისა და აგასის დიადი თაობის სრულფასოვანი მემკვიდრე იქნება.

მძლავრი ტალანტის მქონემ ჯერაც ვერ ისწავლა ყმაწვილკაცურ ემოციათა თუ თავისი ულევი ჯანის იმგვარად გაკონტროლება, რომ თავისსავე საზიანოდ არ მიმართოს.

თუმცა წლეულს — და განსაკუთრებით მშობლიურ მაგარსაფარზე — საუცხოოდ ბურთაობს და მემფისსა და ჰიუსტონში ორი ტიტულიც მიითვალა. ტორონტოულ მასტერსტურნირზე კი მან მხოლოდ ფინალში, არგენტინელ გილერმო კანასთან დათმო.

ამერიკელები მას ეთაყვანებიან და მასთან მოცილე ნებისმიერ არაამერიკელს საკუთრივ ენდიბიჭის გარდა მოღრიალე ტრიბუნებთან ჭიდილიც მოუწევს.

თუმცა ათასი ტურნირის მნახველები მაინც ვარაუდობენ, რომ როდიკის საზეო წლები ჯერ კიდევ წინაა და ამ ეტაპზე მისგან რაიმე საბედისწეროს არ უნდა ველოდოთ.

### 17 პიტ სამპრასი

ეს ლოსანჯელესელი მემარჯვენე კაცი უკვე 31 წლისაა და, ალბათ მხოლოდ ჩოგბურთისგან შორსმკითხველმალა აღარ იცის, რომ მრავალტიტულოვან ზარდახშაში 13 სლემტიტულიც ულაგია (ავსტრალიის ღია პირველობა — 1994, 1997; უიმბლდონი — 1993, 1994, 1995, 1997, 1998, 1999, 2000; აშშ — 1990, 1993, 1995, 1996). აშშ-ის ღია პირველობაზე იგი 1988 წლიდან გამოდის: 1988 — პირველი წრე, 1989 — მეოთხე წრე, 1990 — ჩემპიონი, 1991 — მეოთხედფინალი, 1992 — ფინალი, 1993 — ჩემპიონი, 1994 — მეოთხე წრე; 1995 — ჩემპიონი, 1996 — ჩემპიონი, 1997 — მეოთხე წრე, 1998 — ნახევარფინალი, 1999 — არ გამოსულა, 2000 — ფინალი, 2001 — ფინალი.

ყველა დროის უდიდეს მეჩოგნედ მიჩნეულ სამპრასს 2000 წლის უიმბლდონის შემდეგ, სლემტურნირს ვინ ჩივის, ერთი ქეციანი ტიტულიც აღარ მოუგია. წლეულს იგი ძალიან ცუდად თამაშობს. მის ფინაჩ ფორმას ვერც უიმბლდონურმა გარემომ უშველა — იქაური მეორე წრიდან პიტი უსახელო შვეიცარიელმა, ბასტლმა განდევნა. აი, მაშინ კი ყველა ალაპარაკდა, რომ ჩოგბურთის „დიადმა ვინმემ" დროა, კორტიდან საბოლოოდ ტრიბუნაზე აინაცვლოს.

მაგრამ პიტი იხტიბარს არ იტეხს და სჯერა, რომ ერთი სლემტურნირის მოგება მას კიდევ ძალუძს. „არ დაგავიწყდეთ, ვინა ვარ" — იქადნება პიტი და იმედოვნებს, რომ ბედი ამჯერად მის მხარეზე იქნება.

მისი წლევანდელი სამაგარსაფრო გამოსვლების მნახველთ მის ამ სიტყვებზე მხოლოდ სევდიანად ეღიმებათ.

ვნახოთ, იღიმის ის, ვინც ნაფინალევს იღიმის.

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# THE SHOW MUST GO ON

# თუკი სერენას მუხლი არ შეუშლის...

*სწორედ აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ფინალში მოხდა ის, რაც 100 წელზე გაცილებით მეტხანს აღარ მომხდარიყო — სლემტურნირის გადამწყვეტი მატჩი ერთმანეთში დედმამიშვილებმა გაითამაშეს.*

*მას შემდეგ კიდევ სამი დიდი ტურნირი გამოხდა და ამათგან ორის ფინალში კვლავ მხოლოდ ისინი — მამა რიჩის ნიჭიერი გოგონები თამაშობდნენ. ოღონდ, თუკი შარშან მოგება უფროსმა, ვინუსმა მოახერხა, წლევანდელ როლან გაროსსა და უიმბლდონზე ტიტულები უკვე უმცროსს, სერენას ერგო.*

*მამა რიჩი ჯერ კიდევ თავის ქალიშვილთა კარიერის რიჟრაჟზე ამბობდა, რომ ქალთა ჩოგბურთი მალე „უილიამსების შოუდ" უნდა გადაქცეულიყო.*

*ეს შოუ ორშაბათიდან „ფლეშინგ მედოუზზე" გაგრძელდება...*

*„სერენას ოღონდ ჩემთვის მოაგებინე და მეტი არაფერი უნდა. იქნებ მეც მაცალოს, სახლში რამე რომ მივიტანო" — ღიმილობდა ვინუსი სან დიეგოში წლეულს მისი მე-6 წარმატებული ფინალის შემდეგ.*

*საქმის გამორჩევით მცოდნე ხალხი უკვე ამთავითვე აცხადებს, რომ თუკი რაღაც გაუგებრობა არ მოხდა, ორი კვირის შემდეგ ჩვენ კვლავ შიდაშავდური ფინალის ხილვა მოგვიწევს.*

*„მათ საარაკო მიღწევათა უმთავრესი მიზეზი არა შემზარავი ჯანი, არამედ მოძრაობა და გამჭრიახობაა — ამბობს ბილი ჯინ-კინგი — ლინდსი დევენპორტი კიდევ უფრო მაგრად უხათქუნებს, არანაკლებ მძლავრია ჯენიფერ კაპრიატიც. მაგრამ უილიამსებთან გასატოლებლად მხოლოდ ჯანი არ კმარა. საჭიროა სიმძლავრის, მოძრაობის, ზუსტი პირველი მოწოდებისა და გამჭრიახობის იშვიათი ნაზავი, რათა მათთან გაპაექრება შეგეძლოს. სადღეისოდ მათ გარდა საჩოგბურთო უნართა ასეთ კომბინაციას ვერავინ მოიძევს, მათი პარპაშის მიზეზიც სწორედ ესაა".*

*დაინტერესებული მკითხველი ქვემოთ შავდათა და მათ უმთავრეს მეტოქეთა მოკლე პორტრეტებს გაეცნობა. რასაკვირველია, საკლასიფიკაციო თანმიმდევრობით*

## 1 სერენა უილიამსი

20 წლის შავგოგო ამერიკელი თავის უფროს დასა და ოჯახობასთან ერთად ფლორიდულ პალმ ბიჩ გარდენში სახლობს. მემარჯვენესა და ტყუპად მეხელუკულმეს ჯერ-ჯერობით სამი სლემტიტული მოეპოვება. 1999-ში მან სწორედ აშშ-ის ღია პირველობაზე იმარჯვა და უილიამსებს პირველი დიდი ჯილდო მოუტანა, წლეულს კი მის ფერხთქვეშ როლან გაროსისა და უიმბლდონის კორტები განერთხა.

უმთავრეს ფავორიტს წლის მესამე სლემტიტულის მოპოვება მეტოქეებზე მეტად შეიძლება, მტკივანმა მუხლმა არ დაანებოს, რამაც ის წინა კვირას კანადის ღია პირველობასაც გამოთიშა.

არადა, უმცროს შავდაიკოს შანსი აქვს, შტეფი გრაფის შემდეგ (1996) პირველი ქალი გახდეს, ერთ სეზონში სამი დიდი ტურნირის მოგება რომ მოახერხა.

## 2 ვინუს უილიამსი

ვინუსი 22 წლისაა და ჩოგნის მოხმარების თვალსაზრისით დისგან არაფრით განსხვავდება. განსხვავებულია მისი სასლემო მონაგარი — იგი უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ორ-ორგზისი (2000-01) გამარჯვებულია. აშშ-ის ღია პირველობაზე 1997 წლიდან გამოდის და სანამ მოგებას დაიწყებდა, წინა ორი წლის განმავლობაში ნახევარფინალამდე აღწევდა.

გარდა იმისა, რომ ერთი სული აქვს, უმცროსი დის ჩრდილიდან გამოვიდეს, შეუძლია პირველი მოთამაშე გახდეს თითქმის 20 წლის განმავლობაში, ვინაც აშშ-ის ღია პირველობა ზედიზედ სამჯერ დაიწოკა.

## 3 ჯენიფერ კაპრიატი

ბუთქუნა ჯენი 26 წლისაა და ისიც ფლორიდაში, სედლბრუკში ცხოვრობს. ჩოგანსაც ზუსტად შავდათა მსგავსად მოიხმარს. სლემტურნირებზე სამჯერ უმარჯვია — 2001-02-ში ავსტრალიაში, 2001-ში კი როლან გაროსზე. „ფლეშინგ მედოუზზე" პირველად 1990 წელს გამოჩნდა და საუკეთესო იქაურ მიღწევად 1991 და 2001 წლებში ნახევარფინალში გარჯა ეთვლება.

სეზონი წლეულს ბრწყინვალედ დაიწყო — ავსტრალიის ფინალში თითქმის უკვე დამარცხებულმა მარტინა ჰინგისს 4 მატჩბურთი გაუცუდა და მატჩის ბედი სასწაულებრივ შეუტრიალა. თუმცა მას შემდეგ წამლად ერთ კინკილა ტურნირზეც ვეღარი იმარჯვა. ვერც როლანგაროსული ტიტული დაიცვა — ნახევარფინალში სერენას შემოეჩოგნა, და ვერც უიმბლდონზე ქნა რამე — მეოთხედფინალში ამელი მორესმომ დაჩაგრა.

მორესმომვე გაუცუდა ტიტულის მოპოვების შანსი წინა კვირაში, როცა კანადის ღია პირველობის გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო. ოღონდ მისი ფინალში გასვლა ქომაგებმა მაინც კარგ ნიშნად აღიქვეს. უიმედოდ არც თავად ჯენია — იგი თვლის, რომ შავდათა შეჩერება ახლა მხოლოდ მას ხელეწიფება და ამის გასაკეთებლად ის სრულ მზადყოფნაშია.

## 4 ლინდსი დევენპორტი

ზონზროხა ლინდსი ასევე 26 წლისაა და კალიფორნიულ ლაგუნა ბიჩში სახლობს. ჩოგანს განსხვავებულად არც ის აქნევს და მასზე წინამავალთ არც სლემტიტულთა რაოდენობით აღემატება. 1998-ში მან აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, 1999-ში — უიმბლდონი, მომდევნო წელს კი ყველას ავსტრალიის ღია პირველობაზე აჯობა. აშშ-ის ღია პირველობაზე იგი 1991 წლიდან გამოდის და ჩემპიონობის წინა და მომდევნო წელს ნახევარფინალშიც ითამაშა.

ლინდსი ეს-ესაა, კორტს ცხრათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. თუმცა „უფორმობას" არ უჩივის და აღრესაავგისტო ლოსანჯელესურ ტურნირში ფინალსაც უწია.

ერთი ეგ არის, როცა საქმე საქმეზე მიდგება, უთამაშებლობა მაინც თავს იჩენს და ამიტომაც საქმის მცოდნე ხალხი მის ჩემპიონობაზე ფსონის ჩასვლას მაინცდამაინც არ გვირჩევს.

## 5 ელენა დოკიჩი

19 წლის იუგგოგო ხან ბელგრადშია, ხანაც ფლორიდულ ტამპაში. ჩოგანს 4 მთავარამერიკელი გოგოსავით ხმარობს, ხოლო სასლემტიტულო გრაფაში ჯერაც ნულიანი უწერია. ეს მისი მეოთხე აშშ-ის ღია პირველობა იქნება და აქამდე მეოთხე წრეს არ გასცილებია.

საყოველთაო ყურადღება ხათქუნა სერბმა გოგომ 1999 წელს მიიპყრო, როცა მსოფლიოში 129-ემ უიმბლდონის პირველი წრიდან მაშინდელი მეპირველე მარტინა ჰინგისი გააბუნძურა.

დოკიჩი დაუღალავი მუშაკია და ზეათეულის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით გაცილებით მეტ ტურნირზე გამოდის. იგი საოცრად მიზანდასახულია და უდიდესი სურვილი აქვს, მისი სარეიტინგო მდგომარეობა რომელიმე დიდი ტიტულით გაამყაროს.

## 6 მონიკა სელეში

საქალეთის საბედისწეროდ ჯნებული ზევარსკვლავი ახლა 28 წლისაა და ცხოვრებას ფლორიდულ სარასოტაში არჩევს. იგი ცაციაა და ხელუკულმების გარდა ტყუპად ზოგჯერ ხელწაღმებსაც უტყაპუნებს. ამჟამინდელ ელიტაში მას ყველაზე მეტი, 9 სლემტიტული მოეძევება — ავსტრალიაში ის 1991, 1992, 1993, 1996 წლებში გაჩემპიონდა, საფრანგეთში 1990, 1991 და 1992-ში, ხოლო „ფლეშინგ მედოუზი" 1991 და 1992 წლებში არბია. აშშ-ის ღია პირველობაზე 1989 წლიდან გამოდის და 1995-96 წლებში ფინალამდეც უჩოგნავია.

იგი ლიანგის „სენტიმენტალური ფავორიტია" მას შემდეგ, რაც რომ 1993 წელს ჰამბურგში შტეფი გრაფის მავანი გადარეული ქომაგის მიერ დანით მიყენებული ჭრილობა მოიშუშა და კორტს მოუბრუნდა. ვაგლახ — მისი უმთავრესი წარმატებები სწორედ ამ წლამდე მოდის. 1993-დან კი უნიჭიერესმა იუგოამერიკელმა მხოლოდ ერთი სლემტიტულის მოპოვება შეიძლო.

მონიკა ნებისმიერი ტურნირის სასურველი სტუმარია, მაგრამ წლები გადის და მისი თამაში სულ უფრო და უფრო ჭკნება, ეგ მით უფრო, რომ სცენაზე მასზე მძლავრად მობრახუნე ქალებიც გამოჩნდნენ.

წლეულს მას უცუდესი სეზონი აქვს და ის ისე ნელა მოძრაობს, რომ მისი გამარჯვებისა ბევრს არც არავის სჯერა.

## 8 ჟუსტინ ენენი

ციდა ბელგიელი 20 წლისაა და მმობლიურ მარლუას ვერასგზით ელევა. იგი მემარჯვენეა და არც ერთი სლემტიტული არ მოუგია. აშშ-ის ღია პირველობაზე მესამე წელია, გამოდის და მეოთხედფინალს ერთხელაც ვერ გასცდა.

მსოფლიო საჩოგნეთი მან შარშან, უიმბლდონზე ააფორიაქა, სადაც ვინუს უილიამსთან წასაგებ ფინალამდე გააღწია.

სეზონის პირველი ნახევარი მან შესანიშნავად ჩაითამაშა — გერმანიის ღია პირველობაზე ყველას აჯობა, იტალიის ღია პირველობაზე კი მხოლოდ ფინალში დათმო. ნაროლანგაროსევს ენენი ტრავმებმა შეაურვა და თუმცა მან მაინც შეძლო, უიმბლდონის ნახევარფინალამდე ეომა, სადაც კვლავ ვინუსთან დამარცხდა, მაგრამ დასამახსოვრებელი მეტი აღარაფერი გაუკეთებია.

წინა თვეში, სტენფორდულ ტურნირზე მან თითის ტრავმა მიიღო და სასურველი ფორმა ეგრეც არ აღუდგენია.

## 9 მარტინა ჰინგისი

21 წლის მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე ხან შვეიცარიულ ტრუბახში ცხოვრობს, ხან ფლორიდულ სედლბრუკში. ჩოგანს ზუსტად ისევე მოიხმარს, როგორც მისი ფლორიდელ-კალიფორნიელი მოცილენი, ერთი ეგაა, მათზე მეტი, 5 სლემტიტული დაეკვეხნება — სამი ავსტრალიური (1997, 1998, 1999) და თითო-თითო უიმბლდონურ-ამერიკული (ორივე 1997-ში). აშშ-ში იგი 1995-დან გამოდის და გამარჯვების გარდა სამჯერ (1996, 2000, 2001) ნახევარფინალში ითამაშა, ერთხელაც — 1999-ში — ფინალში სერენასთან დამარცხდა.

მაისში კოჭზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ მარტინას აქციები საოცრად დაეცა. მართალია, კორტზე მობრუნებულმა მონრეალურ და ნიუჰევენურ სარბიელებზე მეოთხედფინალამდე გასძლო, მაგრამ რამდენიმე მომენტის გარდა ჩვეული ფორმის ნატამალიც არ უჩვენებია.

მარტინა ამას არ ინაღვლის — იგი მშვენივრად აცნობიერებს იმას, რომ „ფლეშინგ მედოუზზე" ამჟამად გამარჯვების ძალზედ მცირე შანსები აქვს. ამიტომ ნიუ იორკს დამშვიდებული მიემგზავრება. მისი მიზანი ფორმის დაბრუნებაა, რასაც სწორედ ზეპურ მეჩოგნეებთან ხშირი პაექრობა სჭირდება.

**ლევან ძელაურაძე**



სერენა უილიამსი ამ წლის დედოფალია



ჯენიფერ კაპრიატი



ელენა დოკიჩი

# მანამ დაიწყო

ჯორჯ ბუშმა წლევანდელი გაზაფხულიდან მიჰყო ხელი ჯოგინგს. კვირაში ექვსი დღის განმავლობაში ის სამმილიან დისტანციაზე დარბის და თურმე ამას 21 წუთში ახერხებს. ჯანი მისცეს ღმერთმა, წინამორბედი კლინტონის არ იყოს, ისიც კაი სპორტსმენი ყოფილა.



REUTERS



REUTERS

# ჯერ შორია

ის ნამდვილი და დიადი სუმო სხვა რამეა, მაგრამ ამ იაპონურ გოლიათურ ჭიდილს დღეს მთელი მსოფლიო მისდევს და ამ საქმეში ბარე მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება 2004 წელს და მასპინძელი ჰონკონგი იქნება. იქამდე ბარე ორი წელიწადია, მაგრამ თადარიგიან ჰონკონგელებს უკვე მზადება დაუწყიათ და ხალხის მისაზიდ შოუებსაც მართავენ.

## აღვადგენთო

დიადი კალათბურთელი ლარი ბერდი, ბოსტონელი ბიზნესმენი სტივ ბელკინი, „ბოსტონ სელტიქსის" ყოფილი მწვრთნელი ემ ელ კარი და ჩრდილოეკაროლინელ გოგონათა ნაკრების მწვრთნელი კეი იოუ ერთად სხედან „შარლოტ კოლიზეუმის" დარბაზის გრძელ სკამზე. შარლოტში ქალთა ენბეის თამაში მიმდინარეობს. პირველი სამი სულით ხორცამდე „ბოსტონ სელტიქსთან" დაკავშირებული კაცი თურმე იმას ეპირება, რომ შარლოტში ენბეის კაცთა გუნდი აღადგინოს. იქაური „ჰორნეთსი" ხომ ნიუ ორლეანში გადაბარგდა.






REUTERS

# რას იზამ

ამერიკას მყოფმა ჩინეთის საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, საცარჯიშო თამაში გამართა მასპინძელთა ნაკრებთან. რა თქმა უნდა, ამერიკელებმა მოიგეს და, რა თქმა უნდა, ოცდაათი ქულით. იაო მინგმა (13), ლი ნანმა (11), გუო შიკიანგმა (4) და პუ კეიდონგმა (8), ვერაფერი გააწყვეს მოცლილ ენბიეიელ დუბლიორებთან.

## ფეხბურთი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. III ტური

ლიუბეკი 6:0 ზანქტ პაული
აინტრახტი 2:0 ფიურტი
ტრირი 3:0 კარლსრუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა V ტური

პადერბორნი 0:1 აუე
დინამო 2:1 კილი
ბაბელსბერგი 3:3 დრეზდენი
ვატენშაიდი 2:1 ესენი

სამხრეთ რეგიონალლიგა VII ტური

ჰოფენჰაიმი 0:0 ბაიერნი (მ)
ელვერსბერგი 0:4 აალენი

### ინგლისი

პრემიერლიგა II ტური

ჩელსი 2:2 მანჩესტერი

II დივიზიონი. IV ტური

ნორთჰემპტონი 0:1 ბლეკპული

### პოლონეთი

IV ტური

გურნიკი 2:3 ლეგია

### ჰოლანდია

I დივიზიონი. II ტური

ნაიმეგენი 2:0 ალკმაარი

II დივიზიონი. II ტური

ეინდჰოვენი 1:1 მაასტრიხტი
დორდრეხტი 1:3 დენ ჰააგი
ვოლენდამი 0:1 ემენი
იგლსი 4:3 ჰელმონდი
ჰაარლემი 2:0 კამბური
ვენლო 1:3 ჰერაკლესი
ვეენდამი 4:0 ოსი

### საფრანგეთი

I დივიზიონი. IV ტური

ლილი 0:0 ტრუა

### პორტუგალია

I ლიგა. I ტური

აკადემიკა 0:2 სპორტინგი

### ჩეხეთი

V ტური

სპარტა 3:0 სიგონი

ამხანაგური მატჩი

ლაციო 2:1 ალავესი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ღვავაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge